ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 35-ე წელი | № 107 (10193) | შაბათი, 7 მაისი, 1955 წ. | ფასი 20 კაპ.

## დ ღ ე ს  ნ ო მ ე რ შ ი ა:

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ბულგანინის დეპეშა ნორვეგიის პრემიერ-მინისტრს ბატონ ეინარ გერჰარდსენს (1-ლი გვერდი).

ბერლინს გაემგზავრა საბჭოთა მთავრობის დელეგაცია (1-ლი გვერდი).

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა (1-ლი გვერდი).

სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის კოლექტივის მიმართვა ი. ბ. სტალინის სახელობის სტალინოს მეტალურგიული ქარხნის კოლექტივისადმი (1-ლი გვერდი).

**მსოფლიო კულტურის სიამაყე.** — უძველესი რუსული უნივერსიტეტი. რუსული კულტურა ყველაზე მოწინავე კულტურაა. მეცნიერული კადრების სამჭედლო. ქართველი ახალგაზრდობა მოსკოვში ვსწავლობდი. დაუვიწყარი წლები (მე-2 გვერდი).

**ა. კელენჯერიძე.** — მასების კომუნისტური აღზრდის მძლავრი საშუალება (მე-3 გვერდი).

მეტი მადანი, ქვანახშირის კონცენტრატი რუსთავის მეტალურგებს. — **პ. ჭიოკაძე.** — გამოვიყენოთ არსებული რეზერვები, აღმოვფხვრათ ჩამორჩენა (მე-3 გვერდი).

**დ. მამამთავრიშვილი.** — მოწინავე მეცნიერი (მე-3 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

## რ ა დ ი ო ს  დ ღ ე

საბჭოთა ხალხი კანონიერად ამაყობს მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში ჩვენი სახელოვანი თანამემამულეების უდიდესი აღმოჩენებით. სხვა გამოჩენილი რუსი მეცნიერებისა და გამომგონებლების სახელებთან ერთად ჩვენი ქვეყნის მშრომელები სათუთად და წმიდად ინახავენ რუსი მეცნიერის, რადიოს გამომგონებლის ალექსანდრე სტეფანეს-ძე პოპოვის სახელს, რომლის აღმოჩენამ გადატრიალება მოახდინა მსოფლიო მეცნიერებასა და ტექნიკაში.

60 წლის წინათ დიდმა რუსმა მეცნიერმა ა. პოპოვმა მოახდინა თავისი შექმნილი ხელსაწყოს — მსოფლიოში პირველი მიმღები რადიოსადგურის დემონსტრაცია. ამ მოვლენის აღსანიშნავად 1945 წელს საბჭოთა მთავრობამ დააწესა რადიოს დღე, რომელსაც ჩვენი ქვეყნის მშრომელები ყოველწლიურად 7 მაისს აღნიშნავენ როგორც ერთ-ერთ ღირსშესანიშნავ თარიღს.

ა. პოპოვის გენიალური გამოგონების შემდეგ განვლილი 6 ათეული წლის მანძილზე რადიოტექნიკამ განვითარების უდიდესი გზა განვლო. განსაკუთრებით ფართო გაქანება ჰპოვა რადიოტექნიკისა და რადიომაუწყებლობის განვითარებამ ჩვენს ქვეყანაში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ.

დიდმა ლენინმა რადიოს უქაღალდო და უმანძილო გაზეთი უწოდა და იგი შეაფასა როგორც კავშირის, პროპაგანდის, აგიტაციის, სოციალიზმის გამარჯვებისათვის საბრძოლველად მასების დარაზმვის მძლავრი საშუალება.

პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ განხორციელებულ უდიდეს ღონისძიებათა შედეგად ჩვენს ქვეყანაში შეიქმნა მძლავრი რადიოტექნიკური მრეწველობა, რომლის საწარმოები ამუშავებენ და წარმოებაში ნერგავენ სხვადასხვა სახეობის აპარატურას, რაც ხელს უწყობს სახალხო მეურნეობის ბევრი დარგის ტექნიკურ პროგრესს. საბჭოთა რადიოტექნიკური მრეწველობა ახლა უშვებს სრულყოფილ რადიომიმღებებს, რადიოლებს, ტელევიზორებს. ჩვენი ქვეყანა დაიფარა რადიოსადგურებისა და რადიოსატრანსლაციო კვანძების ფართო ქსელით.

რადიო სულ უფრო ფართო გამოყენებას პოულობს სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში, საბჭოთა სახელმწიფოს თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების საქმეში. რადიო ჩვენს ქვეყანაში, ისევე როგორც მეცნიერებისა და ტექნიკის ყველა სხვა მონაპოვარი, მტკიცედ ჩადგა მშრომელი მასების სამსახურში, იგი დამკვიდრდა საბჭოთა ხალხის ყოფაცხოვრებაში.

დღეს რადიოს საშუალებით ერთმანეთს უკავშირდებიან ჩვენი თვალუწვდენი სოციალისტური სამშობლოს ყველაზე შორეული კუთხეებიც კი, მისი საშუალებით საბჭოთა ქვეყნის ქალაქები და სოფლები უსმენენ ჩვენი სამშობლოს დედაქალაქს — მოსკოვს. რადიო ეწევა მარქსიზმ-ლენინიზმის ყოვლისშემძლე იდეების პროპაგანდას. რადიოს საშუალებით ეცნობიან მშრომელები მეცნიერებასა და ტექნიკაში, ლიტერატურასა და ხელოვნებაში მოპოვებულ ახალ წარმატებებს.

მაშინ როცა იმპერიალისტური ქვეყნების რადიოგადაცემები გამოყენებულია მშრომელი მასების შეგნების მოსაწამლავად, ატომური ომის გაჩაღების პროპაგანდისათვის, საბჭოთა კავშირისა და დემოკრატიული ქვეყნების ხალხებისადმი სიძულვილის გასაღვივებლად, საბჭოთა რადიო მთელ მსოფლიოში ქადაგებს ჰუმანიზმის, პროგრესის, ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის იდეებს. მის მართალ სიტყვას ჩვენი ქვეყნის მშვიდობიანი მშენებლობის შესახებ უდიდესი ინტერესით უსმენენ მთელი მსოფლიოს მშრომელები.

დიდია საბჭოთა რადიოტექნიკისა და რადიომაუწყებლობის განვითარებაში მოპოვებული წარმატებანი. სერიოზული მუშაობაა გაწეული კერძოდ ჩვენს რესპუბლიკაში რადიომაუწყებლობის განვითარებისათვის, სოფლებისა და ქალაქების რადიოფიკაციისათვის. მიუხედავად ამისა, ამ დარგში ჯერ კიდევ ბევრი მოუგვარებელი საკითხია. განსაკუთრებით იგრძნობა ნაკლოვანებანი სოფლების რადიოფიკაციის საქმეში. გასულ წელს კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ ამოცანად დასახეს უახლოესი 5-6 წლის მანძილზე ყველა კოლმეურნეობის, მანქანა-ტრაქტორთა სადგურის, საბჭოთა მეურნეობისა და სხვა სასოფლო დასახლებული პუნქტების სრული რადიოფიკაციის დამთავრება. დღეისათვის რესპუბლიკაში 4.780 დასახლებული პუნქტიდან რადიოფიცირებულია მხოლოდ 1.163. ეს ფაქტი კავშირგაბმულობის ორგანოების ცუდ მუშაობაზე მეტყველებს. საჭიროა ამ მდგომარეობიდან სათანადო დასკვნები გააკეთოს საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტრომ და მასზე დამოკიდებული ყველა ზომა მიიღოს სოფლების რადიოფიკაციის სამუშაოთა ტემპების დასაჩქარებლად. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს არსებული რადიოსატრანსლაციო კვანძებისა და წერტების ნორმალურ, ტექნიკურად გამართულ მუშაობას.

ამ ბოლო ხანებში რესპუბლიკაში რადიოგადაცემათა ხარისხი რამდენადმე გაუმჯობესდა. მაგრამ იგი მაინც ვერ აკმაყოფილებს მშრომელთა გაზრდილ სულიერ მოთხოვნილებას. გადაცემების პროგრამა ზოგჯერ ერთფეროვანი, მოსაწყენია, რაც რადიომსმენელთა სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს. საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს, მისი რადიოინფორმაციის მთავარი სამმართველოს, რადიომაუწყებლობის ყველა ადგილობრივი მუშაკის ვალია ყველაფერი გააკეთონ საბჭოთა ადამიანების მაღალ კულტურულ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. რადიოგადაცემათა პროგრამა მრავალფეროვანი, მაღალიდეური და მაღალმხატვრული უნდა იყოს, მსმენელთა ყველა ფენის მოთხოვნილებას უნდა აკმაყოფილებდეს. რადიოს საშუალებით მშრომელები უფრო ხშირად უნდა უსმენდნენ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მოწინავე ადამიანებს, მეცნიერების, ტექნიკის, ლიტერატურისა და ხელოვნების თვალსაჩინო მუშაკებს. კოლმეურნე გლეხობა მოითხოვს, რომ რადიომ მას უფრო კვალიფიციურად, საქმის ცოდნით, კონკრეტულად გადასცეს სოფლის მეურნეობის მოწინავე გამოცდილება, რათა იგი სწრაფად გადაიტანოს და გამოიყენოს პრაქტიკულ მუშაობაში.

საბჭოთა ხალხის წინაშე კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ დასახულია მთელი სახალხო მეურნეობის, კერძოდ, ჩვენი ეკონომიკისა და ქვეყნის ურყევი თავდაცვისუნარიანობის საფუძველთა საფუძვლის — მძიმე მრეწველობის უპირატესი განვითარების, სოციალისტური სოფლის მეურნეობის ახალი მძლავრი აღმავლობის გრანდიოზული პროგრამა. საბჭოთა ადამიანები ძალასა და ენერგიას არ იშურებენ ამ პროგრამის განსახორციელებლად. ამ დიდ საქმეში მათ ყოველდღიურად უნდა ეხმარებოდეს ჩვენი რადიომაუწყებლობა.

რადიომაუწყებლობის, როგორც მარქსიზმ-ლენინიზმის ყოვლისშემძლე იდეების პროპაგანდის, მასების კომუნისტური აღზრდის მძლავრი საშუალების, მუშაობა პარტიული ორგანიზაციების ყურადღების ცენტრში უნდა იდგეს. ისინი ყოველდღიურად უნდა ზრუნავდნენ იმისათვის, რომ გადაცემები იყოს მრავალფეროვანი, მაღალიდეური და მაღალმხატვრული, ნამდვილად ეხმარებოდეს საბჭოთა ადამიანებს დიადი ამოცანის — კომუნიზმის მშენებლობის ამოცანის წარმატებით გადაწყვეტის საქმეში.

---

დეპეშა

### ნორვეგიის პრემიერ-მინისტრს ბატონ ეინარ გერჰარდსენს

ოსლო

მე-10 წლისთავზე იმ დღიდან, რაც ნორვეგია განთავისუფლდა ჰიტლერული გერმანიის ოკუპაციისაგან გთხოვთ, ბატონო პრემიერ-მინისტრო, მიიღოთ საბჭოთა კავშირის მთავრობისა და პირადად ჩემი მოლოცვა. გისურვებთ ყოველივე საუკეთესოს პირადად თქვენ, ნორვეგიის მთავრობასა და ნორვეგიელ ხალხს.

**ნ. ბულგანინი,**
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე.

6 მაისი, 1955 წ.

### ბერლინს გაემგზავრა საბჭოთა მთავრობის დელეგაცია

6 მაისს მოსკოვიდან ბერლინს გაემგზავრა საბჭოთა მთავრობის დელეგაცია, რომელიც მონაწილეობას მიიღებს ჰიტლერული ტირანიისაგან გერმანიის განთავისუფლების მეათე წლისთავის დღესასწაულში. დელეგაციას მეთაურობს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი მ. გ. პერვუხინი. დელეგაციაში შედიან სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი საბჭოთა კავშირის მარშალი გ. კ. ჟუკოვი და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. მ. პეგოვი. (საქდესი).



ჯგუფი ქართველი სტუდენტებისა, რომლებიც სწავლობენ მოსკოვის მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკისა და ქიმიის ფაკულტეტებზე.
ფოტო გ. ვახტანგაძისა და ვ. გინზბურგისა.

## ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა
### სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა
### მოსკოვის მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

მოსკოვის მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო უნივერსიტეტის 200 წლის იუბილეს გამო და მეცნიერების, კულტურის განვითარების დარგში და კვალიფიციური კადრების მომზადებაში მისი როლის აღსანიშნავად დაჯილდოვდეს მოსკოვის მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო უნივერსიტეტი **შრომის წითელი დროშის ორდენით.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **კ. ვოროშილოვი.**
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ნ. პეგოვი.**

მოსკოვი, კრემლი. 1955 წლის 6 მაისი.

## მ ო ს კ ო ვ ი ს  უ ნ ი ვ ე რ ს ი ტ ე ტ ი

სიმაღლით სწვდება ლურჯი ცის ტატნობს,
ზედ კომუნიზმის ფრიალებს დროშა,
და დიდ საათით მსოფლიოს ამცნობს
სწავლის, შრომის და მშვიდობის დრო-ჟამს.

აქ ბრწყინავს ძმობის დიდი კანდელი,
ზღვა სიბრძნის შუქის ჩამომთოველი,
დინჯად ზის მერხთან სამარყანდელი,
ღიმილით უცქერს ძმა მოსკოველი.

გიშერთვალება ნაზი ასული,
ნარინჯ-თურინჯის მხრიდან ჩასული,
სამხრეთის მზე რომ უკრთის ღაწვებზე,
რომ ჰგავს ჯადოსნურ ყალმით დახატულს,
დიდი პუშკინის უკვდავ ნაწერებს
დაეწაფებია, როგორც ნაკადულს.

გმირი უებრო, სახემზიანი,
ვინც რაიხსტაგის ეკვეთა კარებს,
რუსი ვაჟკაცი ომახიანი
კითხულობს დიდი რუსთველის პწკარებს.

გამარჯვებული ლაღი ჩინელის
გულში ნათელი სხივი ელვარებს
თავისუფალი ხალხის შვილები
იპყრობენ ცოდნის მაღალ მწვერვალებს.

აქ ვრცელ დარბაზებს შუქად ჰფენია
კრემლის დიდი მზის სხივთა ნათელი,
ლომონოსოვის დიდი გენია,
რუსული სიბრძნის გამომხატველი.

**ალექსანდრე გეგაშვილი.**

## მოსკოვის უნივერსიტეტის 200 წლისთავი

მოსკოვის მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში დამთავრდა უკანასკნელი მზადება 200 წლის იუბილეს დღესასწაულისათვის. ლენინის გორაზე აგებულ შენობაში მოწყობილია ჩვენი ქვეყნის ამ უძველესი უმაღლესი სასწავლებლის ისტორიის საიუბილეო გამოფენა.

4 მაისს დღის განმავლობაში მოსკოვის უნივერსიტეტში ლენინის გორაზე მიდიოდნენ დელეგაციები, რომლებიც ულოცავდნენ მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის კოლექტივს 200 წლის იუბილეს.

ერთ-ერთი პირველი მივიდა მოსკოვის I სამედიცინო ინსტიტუტის დელეგაცია. უნივერსიტეტის კოლექტივს გულთბილად მიესალმნენ ინსტიტუტის დირექტორი, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრი-კორესპონდენტი პროფესორი თ. თ. ტალიზინი, უხუცესი პროფესორი სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი ე. ქ. სეპპ და სხვები.

პროფესორების, მასწავლებლებისა და სტუდენტებისათვის იუბილეს მისალოცავად მივიდნენ საბჭოთა ხელოვნების ოსტატებიც — მოსკოვის მ. გორკის სახელობის სამხატვრო აკადემიური თეატრის დელეგაცია. მოსკოვის სამხატვრო აკადემიური თეატრის კოლექტივს წარმომადგენლები იყვნენ თეატრის დირექტორი ა. ვ. სოლოდოვნიკოვი, სსრ კავშირის სახალხო არტისტები ა. კ. ტარასოვა და ბ. ნ. ლივანოვი, რუსეთის სფსრ სახალხო არტისტი ვ. ა. ორლოვი.

პეკინის უნივერსიტეტის სახელით მოსკოვის უნივერსიტეტის კოლექტივს მიულოცა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა სსრ კავშირში ლიუ სიაომ. ელჩმა რექტორს აკადემიკოს ი. გ. პეტროვსკის გადასცა პეკინის უნივერსიტეტის რექტორის მა ინ-ჩუს წერილი და საჩუქრები. საჩუქრებს შორის არის ვეებერთელა მოქარგული სურათი მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი შენობის გამოსახულებით, აგრეთვე ორი დიდი ფაიფურის ვაზა მ. ვ. ლომონოსოვის პორტრეტებით, „24 ისტორია“ 820 ტომად და ჩინეთის კლასიკური ლიტერატურის, ისტორიის, ფილოსოფიისა და პოეზიის წიგნების კომპლექტი — 2.100 ტომი.

• • •

4 მაისს გამოვიდა კაპიტალური შრომის „მოსკოვის უნივერსიტეტის ისტორიის“ პირველი ტომი.

პირველი ტომი მოიცავს პერიოდს 1755 წლიდან 1917 წლამდე. „მოსკოვის უნივერსიტეტის ისტორიის“ მეორე ტომი, რომელიც მიძღვნილია მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო ცხოვრების საბჭოთა პერიოდისადმი, გამოდის უახლოეს დღეებში (საქდესი).

დონბასი, ქალაქი სტალინო

## ი. ბ. სტალინის სახელობის სტალინოს მეტალურგიული ქარხნის კოლექტივს

**ძვირფასო ამხანაგებო!** მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად, საბჭოთა მეტალურგების მთელ არმიასთან ერთად სიხარულითა და ზეიმით იდღესასწაულა 1955 წლის პირველი მაისი სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის კოლექტივმა.

პირველი მაისის აღსანიშნავად გეგმის გადამეტებით ქარხანამ გამოუშვა ათასობით ტონა ფოლადი, მზა ნაგლინი და მილები.

ჩვენი ქარხანა სულ უფრო მეტი რაოდენობით ადნობს ფოლადსა და თუჯს, გლინავს მილებს, უშვებს წვრილსორტულ ნაგლინს. 10-11 წლის წინათ კი იქ, სადაც ახლა ბრძმედები და საკოქსე ბატარეები, მარტენის ღუმელები ელავენ, სადაც ქარხნის საგლინავი და დამხმარე საამქროების დიდი კორპუსები აღმართულა, უკაცრიელი ველი იყო.

ქარხანასთან ერთად გაიზარდა ახალგაზრდა სოციალისტური ქალაქი რუსთავი, სადაც ახლა ათეულ ათასობით ადამიანი ცხოვრობს.

ქალაქი რუსთავი და მისი მეტალურგიული ქარხანა საბჭოთა საქართველოს სიამაყეა. ქართველმა ხალხმა უდიდესი შრომა მოანდომა რესპუბლიკის ამ ახალი ინდუსტრიული საწარმოს შექმნას.

ამაში მას ეხმარებოდა და კვლავაც ეხმარება მთელი საბჭოთა ქვეყანა, ეხმარებიან პირველ რიგში რუსი და უკრაინელი მეტალურგები.

დიდი დახმარება გაგვიწია დონბასმა. ჯერ კიდევ იმ დღეებში, როცა საძირკველი ეყრებოდა რუსთავის ქარხანასა და ქალაქ რუსთავს, აქ ჩამოვიდა სახელმოხვეჭილი მეტალურგი მაკეევკის ქარხნის უფროსი ოსტატი ივანე გრიგოლის-ძე კორობოვი. მან დონბასის ყოველმხრივი დახმარება აღგვითქვა. და, მართლაც, დონეცის ქარხნებიდან შეუფერხებლად და სისტემატურად მოგვდიოდა მოწყობილობა.

ყველაზე მთავარი კი ის არის, რომ ქართველმა ახალგაზრდობამ დონბასის მეტალურგიულ ქარხნებში, თქვენს ქარხანაში გაიარა შესანიშნავი საწარმოო სკოლა. საკმარისია ითქვას, რომ ჩვენი საბრძმედე საამქროს ახლანდელმა უფროსმა ოსტატმა ვარდიშ კობერიძემ ენაკიევოს მეტალურგიულ ქარხანაში ყოფნისას, სადაც იგი პირველად დაეუფლა მეტალურგის სპეციალობას, საბჭოთა კავშირის საუკეთესო მებრძმედის წოდება მოიპოვა.

ბრძმედის ოსტატები მიხეილ გორდაშვილი, ალექსანდრე ყაზარაშვილი, პეტრე იმედაშვილი და სხვები თქვენი ქარხნის სახელოვან კოლექტივში სწავლობდნენ და დაეუფლნენ მებრძმედის ოსტატობას.

ათასობით ჩვენი მეფოლადე, მებრძმედე, მეკოქსე, მგლინავი, ენერგეტიკოსი არ ივიწყებს თავის დონბასელ მასწავლებლებს, მათთან მჭიდრო კავშირი აქვს.

ჩვენი კოლექტივი ისევე, როგორც ჩვენი ქვეყნის მეტალურგიული მრეწველობის ყველა მუშაკი უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიის ისტორიულ გადაწყვეტილებებს. ყველანი აღსავსე ვართ ერთი მისწრაფებით — ვამრავლოთ ჩვენი შრომითი წვლილი საერთო-სახალხო ბრძოლაში მძიმე ინდუსტრიის, — ჩვენი ქვეყნის ურყევი ძლიერებისა და თავდაცვისუნარიანობის და საბჭოთა ხალხის მზარდი მატერიალური კეთილდღეობის ამ საფუძველთა საფუძვლის შემდგომი განვითარებისათვის. ჩვენ ყველანი გამსჭვალული ვართ სურვილით, რომ იმდენი იყოს რუსთავის ლითონი, რამდენსაც კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა მოითხოვენ მძიმე ინდუსტრიის, სოფლის მეურნეობის, სახალხო მეურნეობის ყველა სხვა დარგის, ჩვენი სამშობლოს კულტურისა და თავდაცვის შემდგომი აღმავლობის საჭიროებისათვის.

ამიტომაც ასეთი ერთსულოვნებით შეხვდნენ და მხარი დაუჭირეს რუსთავის მეტალურგებმა მაგნიტოგორსკის მეტალურგების მოწოდებას — გავაჩაღოთ სოციალისტური შეჯიბრება შრომის მაღალი ნაყოფიერებისათვის, 1955 წლის გეგმების ვადამდე შესრულებისათვის.

რუსთაველებთან ერთად მაგნიტოგორსკელი მეტალურგების მოწოდებას გამოეხმაურნენ მოძმე აზერბაიჯანის სუმგაიტის მეტალურგები და დაშქესანის მაღაროელები, მოძმე სომხეთის თუმანიანის ცეცხლგამძლე აგურის ქარხნის კოლექტივი. ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის და საქართველოს ქვანახშირის სამრეწველო რაიონების მეშახტეები.

მაგნიტოგორსკელთა მომართვის პასუხად რუსთავის მეტალურგებმა ვიკისრეთ:

1. 1955 წლის გეგმის გადამეტებით გამოვუშვათ: კოქსი — 10 ათასი ტონა, ფოლადი — 5 ათასი ტონა, ნაგლინი — 14 ათასი ტონა და მილები — 5 ათასი ტონა;

2. გეგმის გადამეტებით გავადიდოთ შრომის ნაყოფიერება 2,8 პროცენტით;

3. მთელი გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულება გეგმის გადამეტებით შევამციროთ 2,5 მილიონი მანეთით;

4. შემდგომი ტექნიკური პროგრესის უზრუნველსაყოფად, სიმძლავრის უკეთესად გამოყენების და კულტურულ-ტექნიკური დონის ამაღლების ამოცანების გადასაჭრელად 1955 წელს ქარხნის სასწავლო ქსელში მოვამზადოთ 3.750 კაცი.

5. მიმდინარე წელს საექსპლოატაციოდ გადავცეთ 24 ათასი კვადრატული მეტრი ახალი კეთილმოწყობილი საცხოვრებელი ფართობი, კულტურის სასახლე, სტადიონი და სხვა კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტები.

ამ ვალდებულებათა შესრულებას დიდი და დაძაბული მუშაობა დასჭირდება. გეგმის მიხედვით 1955 წელს შარშანდელ დონესთან შედარებით მნიშვნელოვნად უნდა გავადიდოთ პროდუქციის გამოშვება: ფოლადისა — 18,9 პროცენტით, ნაგლინისა — 23,8, მილებისა — 123 და თუჯისა — 290 პროცენტით. კოქსის გამომუშავება უნდა გაიზარდოს 26-ჯერ. ქარხნის საერთო პროდუქციის ზრდა გათვალისწინებულია 39,1 პროცენტით.

1955 წელს გასულ წელთან შედარებით გამომუშავება ერთ მუშაზე ჩვენს ქარხანაში უნდა გაიზარდოს 20,8 პროცენტით.

ბევრი რამ უნდა გაკეთდეს იმ სერიოზულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, რომლებიც ახლა გვაქვს. გამოუყენებელი გვრჩება შრომის ნაყოფიერების ზრდის დიდი რეზერვები, ყველაფერი როდი კეთდება, რაც საჭიროა უახლესი ტექნიკის დანერგვისა და გამოყენების დარგში.

ამასთან ერთად ქარხნის ბევრ უბანზე არიან ადამიანები, რომელთაგან შეიძლება ვისწავლოთ და უნდა ვისწავლოთ მეტი ლითონისათვის ბრძოლის მოწინავე გამოცდილება. მაგალითად, ამ დღეებში მივიღეთ ცნობა, რომ ჩვენი ქვეყნის მეტალურგიული ქარხნების საგლინავი საამქროების საუკეთესო ოპერატორის წოდება მოიპოვა მილნამზადის საამქროს ოპერატორმა კლიმენტი კოკაიამ.

ძვირფასო ამხანაგებო! მოგმართავთ გაზეთ „ზარია ვოსტოკასა“ და სტალინოს საოლქო გაზეთ „სოციალისტიჩესკი დონბასის“ მეშვეობით — გავაჩაღოთ სტალინოსა და რუსთავის მეტალურგიული ქარხნების შეჯიბრება 1955 წლის ყველა გეგმიანი დავალების წარმატებით შესრულებისათვის. გამოცდილების ურთიერთგაზიარება ხელს შეგვიწყობს იმაში, რომ უკეთესად ვუპასუხოთ მაგნიტოგორსკელი მეტალურგების მოწოდებას, ღირსეულად შევასრულოთ ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებანი, მივაღწიოთ ტექნიკური პროგრესის ახალ საფეხურს.

ჩვენ ვთხოვთ სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სამინისტროს და შავი მეტალურგიის მუშათა პროფკავშირის ცენტრალურ კომიტეტს იყვნენ ჩვენი შეჯიბრების არბიტრები.

ფოლადივით მტკიცეა ჩვენი სამშობლოს ხალხთა მეგობრობა. საბჭოთა მეტალურგები ერთიან მძლავრ ოჯახად ჩაებნენ ლაშქრობაში ჩვენი ქვეყნის მძიმე ინდუსტრიის ახალი აღმავლობისათვის. კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით, საბჭოთა კავშირის ხალხთა ურღვევი მეგობრობის დროშით მივაღწევთ ახალ შრომითს წარმატებებს, გამოვუშვებთ მეტ ლითონს საყვარელი საბჭოთა სამშობლოს სადიდებლად, ღირსეულ წვლილს შევიტანთ კომუნიზმის მშენებლობის საქმეში.

**სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის კოლექტივის დავალებით:**

ქარხნის დირექტორი **ნ. გომელაური,** საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პარტორგი ქარხანაში **მ. წიტაიშვილი,** ქარხკომის თავმჯდომარე **შ. მეტრეველი,** ალკკ ცენტრალური კომიტეტის კომორგი ქარხანაში **ი. სალაძე,** საამქროთა უფროსები: **ვ. პარშინი, ი. ბესპალოვი, გ. რადჩენკო, ა. გუსევი, გ. ქურდიანი, ვ. იაცურა, ნ. როზენფელდი, მ. იოსელიანი, გ. წურკავა, რ. მონასელიძე, შ. ჩოჩია,** წარმოების მოწინავე ადამიანები: საბრძმედე საამქროს უფროსი ოსტატი **ვ. კობერიძე,** მებრძმედე **ი. პაპუნაშვილი,** მარტენის საამქროს ოსტატი **შ. კუხალეიშვილი,** მეფოლადეები **ა. ზარიძე, ი. სამსონოვი, ი. მეტრეველი,** მგლინავები **ვ. კერვალიძე, კ. კოკაია,** მილმგლინავები **პ. წერეთელი, დ. ძაგანია, ი. ჯანგულაშვილი.**

1955 წლის 5 მაისი. ქალაქი რუსთავი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# 1755 მსოფლიო კულტურის სიამაყე 1955

## მოსკოვის მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის 200 წელი

## რუსული კულტურა ყველაზე მოწინავე კულტურაა

1895 წლის შემოდგომაზე გავემგზავრე მოსკოვის უნივერსიტეტში უმაღლესი განათლების მისაღებად. აქ ჩავირიცხე ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის საბუნებისმეტყველო განყოფილებაზე. მოსკოვის უნივერსიტეტი მაშინაც ერთ-ერთი მოწინავე უნივერსიტეტად ითვლებოდა რუსეთში თავისი კარგად მოწყობილი ლაბორატორიებით, კაბინეტებით, მუზეუმებით, ბიბლიოთეკებით, მეცნიერ-მასწავლებლებითა და დამხმარე პერსონალით.

ამ დროს მოსკოვის უნივერსიტეტში მოღვაწეობდნენ გამოჩენილი რუსი მეცნიერი ბუნებისმეტყველები: ფიზიკაში — სტოლეტოვი, უმოვი და შემდეგ ლებედევი, ქიმიაში — ზელინსკი, ადამიანის ანატომიაში — ზიორნოვი, ცხოველთა ფიზიოლოგიაში — სეჩენოვი, ბოტანიკაში — ტიმირიაზევი, ზოოლოგიაში — ბოგდანოვი, შედარებით ანატომიაში — მენზბირი, მინერალოგიაში — ვერნადსკი, გეოლოგიაში — პავლოვი, რომლებსაც დიდი სახელი ჰქონდათ მოხვეჭილი თავიანთი მეცნიერული და პედაგოგიური მოღვაწეობით. მე ვისმენდი მათს ლექციებს, ვმუშაობდი მათს ლაბორატორიებსა და კაბინეტებში და ვაბარებდი გამოცდებს.

დიდ პატივს ვცემდი უნივერსიტეტის მასწავლებლებს და მიხაროდა მათთან შეხვედრა ლექციებზე და პრაქტიკული მეცადინეობის დროს. განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას ახდენდა ჩემზე პროფესორი კლიმენტი არკადის-ძე ტიმირიაზევი როგორც მეცნიერი და როგორც მოქალაქე — თავისუფალი მოაზროვნე. როცა მას მოსკოვის უნივერსიტეტი იუბილეს უხდიდა, მე მეორე კურსზე ვიყავი. ქართველ ამხანაგებთან ერთად დიდ მეცნიერს ბინაზე ვეწვიეთ და მივულოცეთ იუბილე.

ჩემი კურსის სტუდენტებთან გულთბილი ამხანაგური დამოკიდებულება მქონდა. მომწონდა რუსი სტუდენტების უბრალო, გულღია და მეგობრული განწყობილება.

მოსკოვის უნივერსიტეტთან ქართველ სტუდენტებს მოწყობილი ჰქონდათ ილია ჭავჭავაძის სახელობის სამეცნიერო წრე, ხოლო კომერციული ინსტიტუტის სტუდენტებს — აკაკი წერეთლის სახელობისა. ქართველი სტუდენტების თხოვნით მე ხელმძღვანელობას ვუწევდი ამ ორივე წრის მუშაობას.

მოსკოვში მცხოვრებ უმაღლეს სასწავლებლების სტუდენტობას ჰქონდა ეგრეთწოდებული სათვისტომო, რომელიც ერთმანეთთან აახლოებდა ახალგაზრდობას, საქველმოქმედო მიზნით აწყობდა მუსიკალურ და ლიტერატურულ საღამოებს და კონცერტებს, რომლებიც რუსეთის ფართო საზოგადოების დიდი სიმპათიით სარგებლობდა.

ქართველ მოსწავლე ახალგაზრდობის გარდა მოსკოვში 1900-1917 წლებში გაიზარდა აგრეთვე სხვადასხვა დაწესებულებაში მომუშავე ქართველთა რიცხვი, რომელნიც გაერთიანებული იყვნენ მოსკოვის ქართველთა საზოგადოებაში. ამ საზოგადოებას ა. ი. სუმბათაშვილი-იუჟინი თავმჯდომარეობდა.

რუსული აკადემიური საზოგადოებრიობა ქართველ სტუდენტობას დიდი პატივისცემით და მეგობრულად გვეკიდებოდა. მე ბევრი მყავდა რუსეთში კარგი ნაცნობი და მეგობარი, რომელთაგან ზოგიერთს კიდევ ვხვდებოდი საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მოსკოვში და ლენინგრადში ყრილობებზე და სხვადასხვა თათბირებზე. მოწინავე რუსულმა კულტურამ კეთილმყოფელი გავლენა მოახდინა ქართულ კულტურაზე, მის განვითარებაზე.

პროფესორი ა. ჯავახიშვილი,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი.



მოსკოვის უნივერსიტეტის საქტო დარბაზის ხედი.

## დაუვიწყარი წლები

მოსკოვის უნივერსიტეტი, როგორც მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე დიდი უნივერსიტეტი, ყოველთვის მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ხალხთა კულტურულ განვითარებაში. მაგრამ განსაკუთრებით შესანიშნავია ეს როლი ჩვენს ეპოქაში, საბჭოთა ხელისუფლების წლებში, კერძოდ, სავსებით თავისებური იყო იგი ოცდაათიან წლებში, როდესაც მე იქ ვსწავლობდი. თუ მანამდე თითო-ოროლა ეროვნების რამდენიმე წარმომადგენელი იღებდა მოსკოვის უნივერსიტეტში ცოდნას, ჩვენს დროში მისი კარი ფართოდ გაიღო სსრ კავშირის ყველა ხალხის, კერძოდ, კავკასიის, შუა აზიის, ვოლგისპირა რესპუბლიკათა შვილებისათვის.

ჩვეულებრივი წესით თუ სპეციალურად ჩამოყალიბებულ ჯგუფებში ეს ახალგაზრდობა, რომლისთვისაც რევოლუციამდე საშუალო სკოლაც კი მიუწვდომელი იყო, საუკეთესო მეცნიერთა ხელმძღვანელობით ეუფლებოდა მეცნიერებას იმ მიზნით, რომ უახლოეს წლებში თავისსავე რესპუბლიკებში თვითონვე გამხდარიყო უმაღლესი სკოლის მასწავლებლებად. და თუ ახლა გადავხედავთ ამ რესპუბლიკათა უმაღლესი სკოლების მასწავლებლობას, ვნახავთ, რომ მათი დიდი ნაწილი მოსკოვის უნივერსიტეტის აღზრდილია და რომ მათი აღმზრდელის ამაგი მათ ძირითადად უეჭველად გაამართლეს.

მოსკოვის უნივერსიტეტის საქმიანობის ეს ერთი შესანიშნავი ნაყოფთაგანი აიხსნება, სხვა ცნობილ ფაქტორებთან ერთად, მის მასწავლებელთა მუშაობის შესანიშნავი სტილით. მათთვის დამახასიათებელია პედაგოგიური და მეცნიერული მუშაობის ორგანული შერწყმა. ვერ შეამჩნევ, როდის გადავიდა ლექტორი მეცნიერებისათვის საკმაოდ ცნობილი საკითხების გადმოცემიდან იმ საკითხების განხილვაზე, რომლებიც დღეს აღელვებენ მეცნიერებას.

თუმცა ჩვენი რესპუბლიკის მეცნიერ მუშაკთა კადრები ძირითადად ადგილობრივ მზადდება, მაგრამ ჩვენი უმეტესობა მჭიდროდ არის დაკავშირებული მოსკოვის უნივერსიტეტთან. თვითეული ჩვენგანისათვის მოსკოვის უნივერსიტეტი მისი მეცნიერული მუშაობის ერთ-ერთი წარმმართველია, ხოლო მათთვის, რომლებმაც თავიანთი მეცნიერული ცხოვრების გზის მნიშვნელოვანი ნაწილი მის კედლებში გაატარეს, დაუვიწყარია, რომ ამ გზის ყოველ არსებით მოსახვევში დახმარებას — და არა მარტო მეცნიერულს — ისინი მეცნიერების ამ დიდ ტაძარში იღებდნენ.

პროფესორი გ. ჭოღოშვილი.

## მეცნიერული კადრების სამჭედლო

ქართველი ხალხი, ჩვენი დიდი სამშობლოს სხვა ხალხებთან ერთად, სიამაყით და სიხარულით აღნიშნავს პირველი რუსული უნივერსიტეტის — მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის 200 წლისთავს.

მოსკოვის უნივერსიტეტს ამ ორი საუკუნის მანძილზე ღირსეულად უჭირავს უმაღლესი განათლებისა და მოწინავე მეცნიერების განვითარების დროშა. მან უდიდესი როლი შეასრულა არა მარტო დიდი რუსი ხალხის, არამედ აგრეთვე სხვა ერების კულტურისა და მეცნიერების განვითარების საქმეში. იგი გადაიქცა მსოფლიოში უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების ერთ-ერთ მოწინავე ცენტრად, რომლის წარმომადგენლებმაც ასახელეს რუსული მეცნიერება მსოფლიო მნიშვნელობის შესანიშნავი შრომებითა და აღმოჩენებით.

მოსკოვის უნივერსიტეტმა გამოზარდა მთელი პლეადა მსოფლიოში მოწინავე სახელოვანი მეცნიერებისა. ამ უნივერსიტეტით დიდად არის დავალებული ეროვნული უნივერსიტეტების განვითარება და აყვავება, მათ შორის ჩვენი, თბილისის უნივერსიტეტის ზრდა-განვითარებაც. გარდა ლენინგრადის, ხარკოვისა და ოდესის უნივერსიტეტებისა, მოსკოვის უნივერსიტეტში მიიღო უმაღლესი განათლება ბევრმა ჩვენმა პროფესორმა და მასწავლებელმა, რომლებიც უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ იქვე იქნენ დატოვებული პროფესორობისათვის მოსამზადებლად. ზოგი მათგანი მოსკოვის უნივერსიტეტში დიდხანს ეწეოდა პედაგოგიურ და სამეცნიერო მუშაობას. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ქართული ლიტერატურის ისტორიის გამოჩენილი მკვლევარი პროფ. ა. ხახანაშვილი. მან 1888 წელს ოქროს მედლით დაამთავრა მოსკოვის უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიური ფაკულტეტი და იქვე იქნა დატოვებული პროფესორობისათვის მოსამზადებლად.

საქართველოში უნივერსიტეტის დაარსების შემდეგ ბევრი ქართველი მეცნიერი, რომლებიც რუსეთის სხვადასხვა უნივერსიტეტში მუშაობდნენ, სათავეში ჩაუდგნენ ახლად დაარსებულ უნივერსიტეტში სათანადო კათედრების მუშაობას და დიდი წვლილი შეიტანეს ქართული მეცნიერების აღორძინებისა და განვითარების საქმეში.

ასეთ პირთა რიცხვს ეკუთვნოდა გამოჩენილი ქართველი მათემატიკოსი პროფ. ა. რაზმაძე, რომელიც თბილისის უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელიც არის. იგი 1906 წელს შევიდა მოსკოვის უნივერსიტეტში ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის მათემატიკურ განყოფილებაზე, რომელიც დაამთავრა 1910 წელს. ა. რაზმაძე არაჩვეულებრივი ენერგიითა და საქმის ცოდნით შეუდგა ქართულ ენაზე მათემატიკური მეცნიერების განვითარებისა და ახალგაზრდა ნიჭიერ მათემატიკოსთა აღზრდის საქმეს.

თბილისის უნივერსიტეტის მინერალოგიისა და პეტროგრაფიის კათედრის გამგეს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრს პროფ. ა. თვალჭრელიძეს გავლილი აქვს მოსკოვის უნივერსიტეტის გეოქიმიისა და მინერალოგიის სკოლა აკად. ვ. ვერნადსკის ხელმძღვანელობით. იგი მოსკოვის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ წლების განმავლობაში იქვე მუშაობდა ასისტენტად გეოქიმიის ლაბორატორიაში.

უნივერსიტეტის გეომორფოლოგიის კათედრის გამგე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, პროფ. ა. ჯავახიშვილი მოსკოვის უნივერსიტეტში შევიდა 1896 წელს და წარმატებით დაამთავრა ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის საბუნებისმეტყველო განყოფილება. 1900 წელს უნივერსიტეტის დამთავრების შემდგომ იქვე იქნა დატოვებული პროფესორობისათვის მოსამზადებლად. თბილისის უნივერსიტეტში მიწვევის შემდეგ იგი სათავეში ჩაუდგა გეოგრაფიული მეცნიერების განვითარებას და ახალგაზრდა კადრების მომზადების საქმეს.

მოსკოვის უნივერსიტეტის სახელოვანი ისტორიული სკოლა გაიარა ჩვენი უნივერსიტეტის სსრ კავშირის ხალხთა ისტორიის კათედრის გამგემ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილმა წევრმა და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრმა-კორესპონდენტმა პროფ. გ. ხაჭაპურიძემ.

მოსკოვის უნივერსიტეტის მათემატიკური სკოლა გაიარა ჩვენი უნივერსიტეტის მათემატიკური ანალიზის კათედრის გამგემ, პროფ. ა. ხარაძემ, აგრეთვე ახალგაზრდა პროფესორმა — დოქტორმა, ამჟამად ჩვენი უნივერსიტეტის ალგებრა-გეომეტრიის კათედრის გამგემ, პროფ. გ. ჭოღოშვილმა, რომელიც წარმატებით მუშაობს ტოპოლოგიის პრობლემების გადაწყვეტაზე.

მოსკოვის უნივერსიტეტის ანთროპოლოგიური და არქეოლოგიური სკოლა ჰქონდა გავლილი პროფ. ანუჩინის ხელმძღვანელობით ჩვენი უნივერსიტეტის არქეოლოგიის კათედრის გამგეს პროფ. გ. ნიორაძეს, რომელმაც ქართული არქეოლოგიის განვითარების საქმეში დიდი წვლილი შეიტანა მდიდარი აღმოჩენებითა და გამოკვლევებით. მოსკოვის უნივერსიტეტი დაამთავრეს და შემდგომ ნაყოფიერი მუშაობა განაგრძეს თბილისის უნივერსიტეტში პროფ. გ. ნათაძემ მსოფლიო ისტორიის დარგში, პროფ. ს. ხუნდაძემ ქართველი ხალხის რევოლუციური მოძრაობისა და ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიის დარგში, პროფ. გ. ყავრიშვილმა საქართველოს ფიზიკური გეოგრაფიისა და, კერძოდ, ჰიდროლოგიის დარგში. მათ ჩვენი მეცნიერება გაამდიდრეს ახალი მნიშვნელოვანი გამოკვლევებით.

დღეს ჩვენს უნივერსიტეტში ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან მოსკოვის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები პროფ. მ. ზანდუკელი ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიასა და ლიტერატურის სწავლების მეთოდიკაში, პროფ. გ. თავზიშვილი პედაგოგიკის დარგში, პროფ. ს. დანელია ფილოსოფიის ისტორიასა და რუსულ ლიტერატურაში, დოცენტები ს. ვაჩნაძე და ს. ფურცელაძე რუსული ენის ისტორიასა და სწავლების მეთოდიკაში, ნ. ქადაგიძე, პ. იაშვილი უცხო ენების სწავლების დარგში და სხვ.

მოსკოვის უნივერსიტეტი თავისი ორასი წლის ისტორიით ჩვენი ეპოქის სიამაყე და მშვენებაა. წინათ თუ იქ სწავლა მხოლოდ ერთეულთა ხვედრი იყო, დღეს მოსკოვის უნივერსიტეტში დიდი რუსი ხალხის შვილებთან ერთად სწავლობენ საბჭოთა კავშირის ყველა ეროვნების წარმომადგენლები, დემოკრატიული ქვეყნებისა და ყველა ქვეყნის პროგრესული სტუდენტობის წარმომადგენლები. მათ შორის ბევრია ქართველი სტუდენტი და ასპირანტი, რომლებიც წარმატებით ეუფლებიან მოწინავე საბჭოთა მეცნიერების მიღწევებს. ჩვენი უნივერსიტეტი მოსკოვის უნივერსიტეტში ყოველწლიურად დიდი რაოდენობით გზავნის მივლინებაში ასპირანტებსა და ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკებს სპეციალურ ლაბორატორიებში სამუშაოდ, განსაკუთრებით მექანიკა-მათემატიკაში, მინერალოგიაში, ფიზიკაში, რადიოფიზიკაში და მეცნიერების სხვა დარგებში.

მოსკოვის უნივერსიტეტისა და თბილისის უნივერსიტეტის არა მარტო პროფესორ-მასწავლებლებს აქვთ მჭიდრო მეცნიერული ურთიერთობა, არამედ სტუდენტებსაც. ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოებას სისტემატური კავშირი აქვს მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოებასთან, რაც გამოიხატება მუშაობის გამოცდილების გაზიარებით, სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციების თეზისებისა და სამეცნიერო შრომების გაცვლით.

მოსკოვის უნივერსიტეტის დაარსების 200 წლისთავი საბჭოთა კავშირის ყველა უნივერსიტეტის, მთელი საბჭოთა მეცნიერებისა და კულტურის, მთელი მსოფლიოს მოწინავე მეცნიერებისა და კულტურის დიდი დღესასწაულია.

პროფესორი ს. ძიძიგური,
სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორი სამეცნიერო დარგში.

## ვამაყობ, რომ მოსკოვში ვსწავლობდი

მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტი ვიყავი 900-იანი წლების ბობოქარ დროში, სტუდენტთა მღელვარების პერიოდში, როცა რუსეთის საზოგადოებამ გამოიღვიძა და პოლიტიკური მოთხოვნები წამოაყენა, დაიწყო დიდი სახალხო რევოლუცია.

სტუდენტთა კრებაში მონაწილეობისათვის ნახევარი წელიწადი საპატიმროში გამატარებინეს, მოსკოვის შეიარაღებული აჯანყების დროს სხვისი გვარით ვემალებოდი ჟანდარმებს და მაინც მივაღწიე მეოთხე კურსამდე.

დადგა 1907 წლის გაზაფხული. რევოლუციური ტალღები ცხრებოდა. დამთავრდა რუსეთის უმაღლესი სასწავლებლების გაფიცვა, რაც გამოწვეული იყო სტუდენტებისა და მთელი რიგი პროფესორების ფარულად მოკვლით. მეცადინეობა განახლდა მოსკოვის უნივერსიტეტშიც.

უნდა მოვმზადებულიყავი სახელმწიფო გამოცდებისათვის, მაგრამ წინადადება მომცეს მონაწილეობა მიმეღო საინტერესო ექსპედიციაში ღვთისის მყინვართა შესასწავლად, და მე მთებში წავედი.

შემდეგ დამავალეს წესრიგზე მომეყვანა ეკატერინე II-ის დროინდელი მხედართმთავრის გრაფ რუმიანცევის ცნობილი კოლექცია, რომელიც შეგროვებული იყო XVIII საუკუნის ბოლოს. ამ მუშაობის დროს შინაური გავხდი მინერალოგიის ლაბორატორიაში.

ამის შემდეგ პროფესორმა ვ. ი. ვერნადსკიმ წინადადება მომცა მონაწილეობა მიმეღო მის მიერ განზრახულ მუშაობაში მინერალებში მთელი რიგი იშვიათი ქიმიური ელემენტების გავრცელების გასარკვევად. მე მხვდა ლითიუმი, რუბიდიუმი, ცეზიუმი და ტალიუმი.

ჩაქვის ახლოს ციხისძირში გამგზავრებამ საშუალება მომცა შემეგროვებინა ცეოლითებისა და მათი თანამგზავრების საინტერესო კოლექცია. ასე გამოვიდა ჩემ მიერ დაწყებული პირველი ნაბეჭდი ნაშრომი „ბათუმის მხარის მინერალოგია“.

ისე კარგად ვგრძნობდი თავს ვერნადსკის მოწაფეთა შორის, რომ აღარც კი მახსოვდა სახელმწიფო გამოცდები. ერთხელ კიდევ ჩავედი ციხისძირში და მოვამზადე მეორე სტატია ცეოლითების შესახებ.

მე ჩავუჯექი სახელმწიფო გამოცდებს. შემდეგ, აკადემიკოს ვერნადსკისთან ერთ წელიწადს რომ ვიმუშავე, მიმიწვიეს დონის პოლიტექნიკუმში. ასე დაიწყო ჩემი, როგორც მასწავლებლისა და ვ. ი. ვერნადსკის იდეების პოპულარიზატორის, მოღვაწეობა.

1919 წლის ზაფხულში წერილი მომივიდა ი. ა. ჯავახიშვილისაგან, რომელიც მთხოვდა თბილისში მომეწყო მინერალოგიის კათედრა ახლად გახსნილ საქართველოს უნივერსიტეტში.

ჩემს მასწავლებლებთან — აკადემიკოსებთან ვერნადსკისთან და ფერსმანთან კავშირს ვამყარებდი ყრილობებზე და თათბირებზე ჩასვლის დროს. ორივეს აინტერესებდა მეცნიერების განვითარება საქართველოში და დიდად მეხმარებოდნენ საქართველოს წიაღის შესწავლისათვის ბრძოლაში.

1941 წლის თებერვალში საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გახსნასთან დაკავშირებით ვ. ი. ვერნადსკიმ მეტად გულთბილი წერილი გამომიგზავნა. „უდიდესი სიხარულით გავიგე, რომ თქვენ არჩეული ხართ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრად. მე მახარებს თქვენი წარმატება და მოხარული ვარ, რომ ქართველმა ხალხმა მიიღო მეცნიერული მუშაობის მძლავრი ცენტრი“, — ასე იწყებოდა წერილი.

მე ვამაყობ იმით, რომ მოსკოვის უნივერსიტეტში ვსწავლობდი, უფლება მაქვს ჩემს თავს ვუწოდებდე ვერნადსკის მოწაფეს, რომ ვცხოვრობ და ვმუშაობ დიდ საბჭოთა ქვეყანაში.

პროფესორი ა. თვალჭრელიძე,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი.

## უძველესი რუსული უნივერსიტეტი

200 წლის წინათ დიდი რუსი მეცნიერის მ. ვ. ლომონოსოვის ინიციატივითა და პროექტით მოსკოვში დაარსდა უნივერსიტეტი, რომელიც პირველი იყო რუსეთში. უძველესი რუსული უნივერსიტეტი, რომელიც თავისი დამაარსებლის სახელს ატარებს და რომელიც დაჯილდოებულია ლენინის ორდენით მეცნიერების, კულტურის განვითარებასა და მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებაში განსაკუთრებული დამსახურებისათვის, სამართლიანად ითვლება საბჭოთა და მსოფლიო კულტურის სიამაყედ.

მოსკოვის უნივერსიტეტი პირველი წლებიდანვე გახდა ცენტრი, საიდანაც განათლება ვრცელდებოდა რუსეთში. თავისი არსებობის წლების მანძილზე იგი ისტორიულად ჩამოყალიბდა როგორც რუსული მეცნიერებისა და კულტურის უდიდესი ციტადელი. ამ უნივერსიტეტში სწავლობდნენ გენიალური მწერლები და პოეტები — ა. ს. გრიბოედოვი, მ. ი. ლერმონტოვი, ი. ს. ტურგენევი, ა. ნ. ოსტროვსკი, ი. ა. გონჩაროვი, ა. პ. ჩეხოვი და მრავალი სხვა, გამოჩენილი რევოლუციონერი დემოკრატები ა. ი. გერცენი, ნ. პ. ოგარიოვი, ბ. გ. ბელინსკი. მოსკოვის უნივერსიტეტში აღიზარდნენ ჩვენი ქვეყნის ხელოვნების უდიდესი მოღვაწეები: ვ. ი. ნემიროვიჩ-დანჩენკო, ე. ბ. ვახტანგოვი, ლ. ვ. სობინოვი, ნ. გ. რუბინშტეინი, ა. ა. სპენდიაროვი და სხვები.

მოსკოვის უნივერსიტეტში მუშაობდნენ უნიჭიერესი რუსი მეცნიერები, რომელთა შრომებიც ძვირფასი წვლილი იყო მსოფლიო მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების საქმეში. აქ „რუსული ავიაციის მამამ“ ნიკოლოზ ეგორის-ძე ჟუკოვსკიმ ჯერ კიდევ იმ წლებში, როცა ფრენა მხოლოდ აეროსტატებით შეიძლებოდა,ააშენა რუსეთში პირველი აეროდინამიკური მილი და აწარმოებდა ჰაერზე უფრო მძიმე საფრენი მანქანების მოდელთა გამოცდას. უნივერსიტეტში ჟუკოვსკის მიერ შექმნილი სკოლის ერთ-ერთმა საუკეთესო წარმომადგენელმა სერგი ალექსის-ძე ჩაპლიგინმა შექმნა დიდ სიჩქარეთა აერომექანიკა, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა ჩვენს დროს, როცა ავიაცია ახორციელებს ზებგერითი სიჩქარის ფრენას და სხვ.

მოსკოვის უნივერსიტეტი მთელი თავისი განვითარების გზაზე იყო არა მარტო მოწინავე მეცნიერების ცენტრი, არამედ პროგრესული რუსული საზოგადოებრივი აზრის სკოლაც, საუკეთესო რევოლუციური ტრადიციების მატარებელი. დაწყებული თავადაზნაურ რევოლუციონერ-დეკაბრისტებით, რომელთაგან ბევრი მოსკოვის უნივერსიტეტში აღიზარდა, და დამთავრებული სტუდენტთა აქტიური მონაწილეობით სამ რევოლუციაში, აქ არასოდეს არ შეწყვეტილა ბრძოლა რუსი ხალხის თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის. ჯერ კიდევ გერცენმა შექმნა უნივერსიტეტში ფარული წრე, რომელიც სწავლობდა რუსეთში აკრძალულ ლიტერატურას. ეს წრე აქტიურად მოქმედებდა სტუდენტთა სხვა ფარულ წრეებთან ერთად. 1905 წელს უნივერსიტეტის აუდიტორიებში მუშათა მონაწილეობით იმართებოდა მიტინგები, რომლებზეც გაისმოდა მოწოდება თვითმპყრობელობის დამხობისათვის საბრძოლველად. 1905 წლის დეკემბრის შეიარაღებული აჯანყების დღეებში უნივერსიტეტის სტუდენტები მუშებთან ხელიხელჩაკიდებულნი იბრძოდნენ ბარიკადებზე.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში მოსკოვის უნივერსიტეტი ჩვენი ქვეყნის უდიდესი უმაღლესი სასწავლებელი გახდა. თუ რევოლუციამდე 168 წლის არსებობის მანძილზე უნივერსიტეტმა სულ 40 ათასი სპეციალისტი გამოუშვა, 37 წლის მანძილზე 1917 წლის ოქტომბრის შემდეგ უნივერსიტეტმა გამოუშვა 45 ათასზე მეტი სპეციალისტი, რომლებიც ახლა ნაყოფიერად მუშაობენ სახალხო მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის სულ სხვადასხვა დარგში. უნივერსიტეტის სიამაყეა ბევრი მეცნიერი, რომლებმაც აქ დაამთავრეს კურსი, ამ სასწავლებელში დაიწყეს მეცნიერული მოღვაწეობა და მსოფლიოში განთქმული უდიდესი მეცნიერები გახდნენ. ასეთები არიან სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, ლითონორგანული შენაერთების ქიმიის ფუძემდებელი ა. ნ. ნესმეიანოვი, ალბათობის თეორიის ახალი განყოფილების ავტორი აკადემიკოსი ა. ნ. კოლმოგოროვი, ცნობილი მექანიკოსი ლ. ი. სედოვი და სხვები.

22 ათასზე მეტი სტუდენტი (მათ შორის დაუსწრებელნიც) სწავლობს ახლა მოსკოვის უნივერსიტეტში. ისინი საბჭოთა კავშირის 59 ეროვნების წარმომადგენლნი არიან. მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის 12-ვე ფაკულტეტზე შევხვდებით სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ქალიშვილებსა და ჭაბუკებს.

მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში შრომობს პროფესორთა და მასწავლებელთა დიდი კოლექტივი, რომელშიც არის ორი ათასზე მეტი კაცი, მათ შორის ბევრია ჩვენი ქვეყნის უნიჭიერესი მეცნიერი. საბჭოთა მეცნიერების ამ თვალსაჩინო წარმომადგენელთა შორის არიან აკადემიკოსი ს. ლ. სობოლევი, რომელსაც მთელი მსოფლიო იცნობს მისი შრომებით მათემატიკური ფიზიკისა და გამოთვლითი მათემატიკის დარგში, ვ. ი. ვერნადსკის საქმის განმგრძობი აკადემიკოსი ა. პ. ვინოგრადოვი, თვალსაჩინო სპეციალისტი ენათმეცნიერების დარგში აკადემიკოსი ვ. ვ. ვინოგრადოვი, ფიზიკოსი აკადემიკოსი დ. ვ. სკობელცინი, აკადემიკოსი მ. ნ. ტიხომიროვი, რომელმაც ძვირფასი წვლილი შეიტანა ფეოდალური რუსეთის ისტორიაში, და მრავალი სხვა.

ორი წლის წინათ უნივერსიტეტის მთელმა რიგმა ფაკულტეტებმა დაიწყეს მეცადინეობა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალ შენობებში, რომლებიც ლენინის გორაზე აშენდა. მეცნიერების სასახლის გრანდიოზული ანსამბლის აგება კვლავ მკაფიოდ მოწმობს პარტიისა და მთავრობის ზრუნვას მეცნიერებისა და კულტურის აყვავებისათვის, მოსკოვის უნივერსიტეტის შემდგომი განვითარებისათვის. მეცნიერების სასახლეში ლენინის გორაზე გათვალისწინებულია ნაყოფიერი სწავლისა და მეცნიერული მუშაობის ყველა პირობა. მისი ლაბორატორიები, კაბინეტები, აუდიტორიები აღჭურვილია უახლესი ხელსაწყოებითა და აპარატებით, რომლებსაც შეუძლიათ დააკმაყოფილონ უაღრესად მომთხოვნელი მეცნიერი ექსპერიმენტატორი.

კომუნისტური აღზრდის ამოცანებით გამსჭვალულია აგრეთვე უნივერსიტეტის დიდი კოლექტივის მთელი საზოგადოებრივი ცხოვრება. ყველა ფაკულტეტზე რეგულარულად ეწყობა სტუდენტთა თეორიული კონფერენციები მარქსისტულ-ლენინური თეორიის აქტუალურ თემებზე, უფროსი კურსის სტუდენტები მონაწილეობენ კათედრების თეორიულ სემინარებში. ახალგაზრდობაში უდიდეს იდეურ-პოლიტიკურ მუშაობას ეწევა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის კომკავშირული ორგანიზაცია, რომელიც 15 ათასზე მეტ ქალიშვილსა და ჭაბუკს აერთიანებს.

სასწავლო პროცესთან ერთად, მოსკოვის უნივერსიტეტში დიდმნიშვნელოვანი მეცნიერულ-კვლევითი მუშაობა მიმდინარეობს. მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერთა შრომები ფართოდ არის ცნობილი ჩვენს ქვეყანაში.

მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერთა კოლექტივი აქტიურ მონაწილეობას იღებს უმნიშვნელოვანესი პრობლემების გადაჭრაში, რომლებიც დგას სოციალისტური ინდუსტრიის წინაშე, უდიდესი ჰიდროელექტროსადგურების აგებაში, სოციალისტური სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობისათვის ბრძოლაში. ჩვენი ქვეყნის სულ სხვადასხვა რაიონში წლითიწლობით მუშაობს უნივერსიტეტის ათობით ექსპედიცია. ისინი აგროვებენ მეცნიერულ მასალას, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს სახალხო მეურნეობისათვის.

უნივერსიტეტის მეცნიერული ძალები დიდ ყურადღებას აქცევენ საბჭოთა კავშირის ათეული ფართობების გადიდებასთან დაკავშირებულ საკითხებს. ბიოლოგია-ნიადაგის ფაკულტეტის ნიადაგთმცოდნეობის კათედრის ექსპედიციამ გააჩაღა მუშაობა ყაზახეთის ყამირი მიწების ტერიტორიის გამოსაკვლევად, რათა შეარჩიოს მასივები მარცვლეულის ახალი დიდი საბჭოთა მეურნეობების მოსაწყობად. წელს პირველად მოეწყობა კუსტანაის ოლქის ბუნებრივი და ეკონომიური პირობების შესწავლა, რათა შეიმუშაონ ტერიტორიის მეცნიერულად დასაბუთებული ორგანიზება და დაგეგმონ სასოფლო-სამეურნეო წარმოება ახალ მიწებზე.

მოსკოვის უნივერსიტეტის მეცნიერები და სტუდენტები — გეოგრაფები, ბიოლოგები, ქიმიკოსები, ნიადაგთმცოდნეები და მეცნიერების ბევრი სხვა დარგის წარმომადგენლები — უაღრესად აქტიურ მონაწილეობას იღებენ სამეურნეო მშენებლობაში, სოციალისტური ეკონომიკის ყველა დარგის აღმავლობაში, საბჭოთა ხალხის კულტურის შემდგომი აყვავებისათვის ბრძოლაში.

მოსკოვის მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო უნივერსიტეტის მრავალათასიანი კოლექტივი დიდი შემოქმედებითი აღმავლობით ეგებება თავისი სასწავლებლის მე-200 წლისთავს. მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობას და სტუდენტებს კარგად აქვთ შეგნებული თავიანთი უდიდესი პასუხისმგებლობა ჩვენი ქვეყნის წინაშე, მთელი ხალხის წინაშე ახალი წარმატებებისათვის საბჭოთა მეცნიერების განვითარებაში, უმაღლესი სკოლის შემდგომ აყვავებაში, პასუხისმგებლობა მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადებისათვის, რომლებმაც წარმატებით უნდა გადაწყვიტონ ჩვენი ქვეყნის წინაშე მდგომი გრანდიოზული ამოცანები.

აკადემიკოსი ი. გ. პეტროვსკი,
მოსკოვის მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი.



მოსკოვის მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი შენობის ხედი.
ფოტო გ. ჟანგაძისა და ვ. გინზბურგისა.

მეტი მადანი, ქვანახშირის კონცენტრატი რუსთავის მეტალურგებს

# ᲒᲐᲛᲝᲕᲘᲧᲔᲜᲝᲗ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲠᲔᲖᲔᲠᲕᲔᲑᲘ, ᲐᲦᲛᲝᲕᲤᲮᲕᲠᲐᲗ ᲩᲐᲛᲝᲠᲩᲔᲜᲐ

მარგანეცის ტრესტმა საგრძნობი გადაჭარბებით გაანაღდა მარტის დავალება. მაგრამ პირველი კვარტალის შედეგები სახარბიელო არ არის, გეგმის არც ერთი მაჩვენებელი არ შესრულებულა. ჩამორჩებიან მარგანეცის გამოღების, სასაქონლო მადნის დამზადების, შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების საქმეში.

განსაკუთრებით საგრძნობია პირველი ხარისხის მარგანეცის დანაკლისი. ამაში ყველაზე მეტად ჩამორჩნენ დიმიტროვისა და კაგანოვიჩის სახელობის მაღაროები, რომელთა მაჩვენებლები 80-85 პროცენტს არ აღემატება. ამან განაპირობა ტრესტის არარენტაბელური მუშაობა. პროდუქციის თვითღირებულების გაძვირებით გადახარჯულია ორ მილიონ მანეთზე მეტი.

ჩამორჩენა იმით არის გამოწვეული, რომ მაღაროებში ჯერ კიდევ სრულად ვერ იყენებენ არსებულ რეზერვებს, მთელი დატვირთვით ვერ ამუშავებენ მექანიზმებს, ზოგჯერ სოციალისტური შეჯიბრება ფორმალურ ხასიათს ატარებს. სუსტად იბრძვიან მოწინავეთა გამოცდილების განზოგადება-დანერგვისათვის, ახლისა და პროგრესულის ფართოდ გავრცელებისათვის, მუშათა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის.

პირველ კვარტალში შრომის ნაყოფიერების გადიდების დავალება (გარდა ორჯონიკიძის სახელობის მაღაროსი) ვერცერთმა მაღარომ ვერ შეასრულა. ეს შრომის ცუდი ორგანიზაციის შედეგია — არის მოწყობილობათა მოცდენის შემთხვევები, დარღვეულია თანაფარდობა წამყვან და დამხმარე კვალიფიკაციებს შორის, მოუწყობელია სამუშაო ადგილები. აი ზოგიერთი ფაქტი: იმის გამო, რომ სანგრევებსა და ლავებს დროულად არ წმენდენ და დაგვიანებით აწოდებენ ვაგონებს, ისეთი ძვირფასი მექანიზმები, როგორიც არის მადნის მტვირთავი მანქანები და სკრეპერები, ცდება და დროის 25-30 პროცენტი უქმად მიდის. ცარიელი ვაგონების ნაკლებობა, გზის შეფერხებები და სანგრევში მადნის უქონლობა იწვევს ელექტრომავლების მოცდენას — ისინი მხოლოდ 75 პროცენტით არიან დატვირთული. საგრძნობია აგრეთვე წამყვანი კვალიფიკაციის მუშების (მბურღავების, ამწმენდების, მებიგეების და სხვ.) მოცდენა.

დიმიტროვისა და კაგანოვიჩის სახელობის მაღაროებში ნაკლებად ფიქრობენ მადნის სელექციურ გამოღებასა და პირველადს გაუხვებაზე, ამიტომ ნედლეულში დიდი რაოდენობით რჩება ფუჭი ქანის მინარევი, რაც ამცირებს მარგანეცის ხარისხს.

დიმიტროვის სახელობის მაღაროში მეექვსე უბანი დიდი წარმადობისაა. იგი საერთო პროდუქციის ნახევარს იძლევა. მაგრამ ამ უბნის დახრილზე მომუშავე ჯალამბრებისა და საჰაერო გზის გამტარუნარიანობა უკვე ჩამორჩება უბნის წარმადობას და ვეღარ აუდის მონგრეული მადნის გამოზიდვას. ეს საკითხი ტრესტის მექანიკურმა განყოფილებამ უნდა მოაგვაროს, მაგრამ რატომღაც აგვიანებს, რაც თავის მხრივ აფერხებს მეექვსე უბანში მეტად რენტაბელური სამუშაოების — გადახსნითი სამუშაოების დაწყებას. ამავე მაღაროს მადნის გამაუხვებელი № 33 ფაბრიკა სრული დატვირთვით ვერ მუშაობს, სამშობლოს აკლებს პირველხარისხოვან მარგანეცს. ამიტომ აუცილებელია მაღაროში დაჩქარდეს და გაძლიერდეს გადახსნითი სამუშაოები. ტრესტის კაპიტალური მშენებლობის სამმართველო შეუწყნარებლად აჭიანურებს მეექვსე უბანში გენერატორისა და ვენტილიატორის დამონტაჟებას, რაც უარყოფით გავლენას ახდენს ნორმალურ მუშაობაზე.

მაღაროებსა და გამაუხვებელ ფაბრიკებში ნაკლებად ზრუნავენ წარმოების კულტურის ამაღლებისათვის. კაგანოვიჩის, ვოროშილოვის და დიმიტროვის სახელობის მაღაროების უბნები ატალახებულია, შიგ მიმობნეულია სამაგრი მასალები, რაც ხელს უშლის როგორც შრომის ნაყოფიერების ზრდას, ისე პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას.

ბევრ მაღაროში იგრძნობა შრომითი და ტექნოლოგიური დისციპლინის შესუსტება. იმის გამო, რომ დიმიტროვის სახელობის მაღაროს კოლექტივი პირველი ხარისხის მარგანეცის გამოშვების გეგმას ვერ ასრულებს, დაშვებულია სახსრების გადახარჯვა, ზოგჯერ გვიანდება მუშათა ხელფასის გაცემა, ეს კი იწვევს მუშების დენადობას.

აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ ნაკლებად ზრუნავენ ნოვატორთა მეთოდების დანერგვა-განზოგადებისათვის, წარმოების რაციონალიზატორებისადმი დახმარების, მათი შემოქმედებითი აზრის განხორციელებისა და თაოსნობის გავრცელებისათვის. ეს კი ყველა ორგანიზაციის ღვიძლი საქმეა. მეტი მზრუნველობაა საჭირო აგრეთვე სოციალისტური შეჯიბრებისათვის. შეჯიბრების შესრულებას სისტემატურად რომ ამოწმებდნენ და შედეგებს მუშებს აცნობდნენ, გამარჯვებული მბურღავების, ხარატების, მემანქანეების შრომის პოპულარიზაციას რომ ეწეოდნენ, — ეს გაცილებით უკეთეს შედეგს მოგვცემდა.

მარგანეცის მრეწველობას შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების მძლავრი რეზერვები აქვს. მარგანეცის ქალაქის პარტიული, სამეურნეო, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების კეთილშობილური ვალია მთლიანად გამოიყენონ არსებული შესაძლებლობანი, სათავეში ჩაუდგნენ მაღაროელთა შემოქმედებითს ინიციატივას და მოკლე ხანში დაფარონ პირველი კვარტალის დანაკლისი, მშობლიურ მეტალურგიას მისცენ მეტი და მაღალხარისხოვანი მარგანეცი.

**პ. ჭიოკაძე,**
„კომუნისტის" საკ. კორესპონდენტი.

## რ ა დ ი ო ს ტ უ დ ი ა შ ი



ჩვენს რადიოს აქვს ისეთი აპარატები, რომელთა საშუალებით ჩაწერა შეიძლება მოხდეს მანქანაში, მინდვრად, თვითმფრინავში, გემზე და სხვ.

**სურათზე:** (ზემოთ) საქართველოს რადიოს სიმფონიური ორკესტრის (დირიჟორი ზ. ხუროძე) კონცერტის ჩაწერა ფირზე რადიოსტუდიაში. (ქვემოთ) ოპერატორი ჯ. გეგელაშვილი (მარცხნივ) და ტონმეისტერი თ. მდივანი აწარმოებენ ჩაწერას მაგნიტოფონზე.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

## ელჭექის ალმნუსხველიდან ტელევიზორამდე

დღეს 60 წელი სრულდება იმ დღიდან, რაც პეტერბურგში ნიჭიერმა მეცნიერმა ა. ს. პოპოვმა რუსეთის ფიზიკა-ქიმიის საზოგადოების სხდომაზე გააკეთა მოხსენება „ელექტრული რყევებისადმი ლითონის ფხვნილთა დამოკიდებულების შესახებ". იქვე მეცნიერმა დამსწრეებს აჩვენა საკუთარი ხელით დამზადებული ელჭექის ალმნუსხველი — ხელსაწყო, რომელიც ახდენდა ელჭექით გამოწვეული ელექტრომაგნიტური რყევების რეგისტრაციას.

ეს ხელსაწყო თანამედროვე მიმღები რადიოსადგურის პირველსახე გახდა. იგი შემონახულია ჩვენამდე და ახლა მას ნახავთ ლენინგრადში ა. ს. პოპოვის სახელობის კავშირგაბმულობის ცენტრალურ მუზეუმში. აქვეა ა. ს. პოპოვის მიერ გაკეთებული უმავთულო ტელეგრაფის რადიომიმღებები და რადიოგადამცემები, რომლებიც პირველია მსოფლიოში.

დიდ დარბაზში, სადაც ეს მასალებია გამოფენილი, მნახველებს შეუძლიათ თვალი გადაავლონ რადიოტექნიკის განვითარების მთელ გზას — ელჭექის ალმნუსხველიდან უახლეს ტელევიზორამდე.

რადიოს გამოგონების მე-60 წლისთავისათვის დარბაზის ექსპოზიცია შევსებულია ახალი ხელსაწყოებით. ექსკურსიამძღოლები მნახველებს აცნობენ საბჭოთა რადიოტექნიკის უახლეს მიღწევებს, მოუთხრობენ მათ რადიოს შემქმნელის გენიალური მეცნიერის ა. ს. პოპოვის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე, მის ბრძოლაზე მეფის მოხელეთა კონსერვატიზმთან და დახავსებულობასთან. როგორც ცნობილია, მათი მიზეზით ადამიანის გონების უდიდესმა ქმნილებამ ვერ ჰპოვა ფართო გამოყენება თვითმპყრობელობის პირობებში. მას შემდეგ, რაც მსოფლიოს მოედო კავშირგაბმულობის დარგში ა. ს. პოპოვის გენიალური აღმოჩენის ამბავი, ნიჭიერ რუს მეცნიერს შეუჩნდნენ უცხოელი საქმოსნები, რომლებიც ცდილობდნენ გადაებირებინათ იგი და წაეყვანათ საზღვარგარეთ სამუშაოდ.

ერთ-ერთ ასეთ წინადადებაზე ა. ს. პოპოვმა უპასუხა:

— მე რუსი ვარ და უფლება მაქვს მთელი ჩემი ცოდნა, მთელი ჩემი შრომა, ყველა ჩემი მიღწევა მივცე მხოლოდ ჩემს სამშობლოს.

მუზეუმში ნაჩვენებია, როგორ მუშაობდნენ საბჭოთა მეცნიერები ვ. ი. ლენინის სახელობის ნიჟნი ნოვგოროდის რადიოლაბორატორიაში, რომელიც 1918 წელს მოეწყო ვლადიმერ ილიას-ძის მითითებით. ამით საფუძველი ჩაეყარა რადიოს სწრაფ განვითარებას ჩვენს ქვეყანაში. სსრ კავშირს ახლა აქვს მსოფლიოში ყველაზე მძლავრი მაუწყებელი სადგურები, უდიდესი რადიოცენტრები, რომლებიც გადაცემას აწარმოებენ მრავალეროვანი საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის ენებზე.

ჩვენს ქვეყანაში საფუძვლები ჩაეყარა თანამედროვე ტელევიზიას. ამაზე დაწვრილებით მოგვითხრობს ექსპოზიციის სპეციალური განყოფილება, სადაც წარმოდგენილია სატელევიზიო ტექნიკის განვითარების მთელი გზა, დაწყებული პირველი გამოშვების ტელევიზორებით. ამ ტელევიზორებით რადიომაყურებელს შეეძლო დაენახა სულ მცირე გამოხატულება. მათ გვერდით არის უახლესი ტელევიზორები „ტემპი", „სევერი", „ავანგარდი", და „ტ-4" ნახევარმეტრიანი ეკრანით. აქვეა ტელევიზორი „რადუგა", მეცნიერებისა და ტექნიკის ეს უკანასკნელი სიტყვა. „რადუგით" შეიძლება მივიღოთ ფერადი სატელევიზიო გადაცემები.

აი კიდევ ახალი მიღწევები — კინორადიოდანადგარი „სკრუ — 100", რომელიც შეიცავს რადიომიმღებს, რადიოკვანძს და კინოპროექტორს ხმოვანი კინოსათვის, რადიოსადგური „უროჟაი", რომელსაც კოლმეურნეობებში იყენებენ მტს-თან საველე ბრიგადების დასაკავშირებლად.

მნახველთა ყურადღებას მუდამ იპყრობს მუზეუმის მიერ ახლახან მიღებული მოძრავი სატელევიზიო გადამცემი სადგური „პტს-52". მას აჩვენებენ მოქმედებაში.

„პტს-52"-ს ღირსება ის არის, რომ იგი არ მოითხოვს მკვეთრ განათებას და შეიძლება წარმატებით გამოყენებულ იქნას სატელევიზიო გადაცემებისათვის თეატრიდან და საკონცერტო დარბაზებიდან, აგრეთვე საწარმოებიდან და ა. შ.

მუზეუმში დიდი ადგილი აქვს დათმობილი არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების რადიოკლუბების მუშაობის ჩვენებას. აქ არის რადიომოყვარულთა მიერ შემუშავებული აპარატურა, მსოფლიოს რუკა, სადაც ნაჩვენებია წარმატებები საბჭოთა მოკლეტალღოსნებისა, რომლებმაც კავშირი დაამყარეს მსოფლიოს უშორეს კუთხეებთან.

**ო. კარიშევი,**
„კომუნისტის" კორესპონდენტი.
ქ. ლენინგრადი.

## მ ო წ ი ნ ა ვ ე მ ე ც ნ ი ე რ ი

დღეს ჩვენი რესპუბლიკის საზოგადოებრიობა, მედიცინის მუშაკები აღნიშნავენ საბჭოთა მედიცინის გამოჩენილი მოღვაწის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, პროფესორ მიხეილ დოროთეს-ძე წინამძღვრიშვილის საექიმო, პედაგოგიური, მეცნიერული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 45-ე წლისთავს.

საბჭოთა მედიცინის მოწინავე წარმომადგენელი — პროფესორი წინამძღვრიშვილი 45 წელია თავდადებით ემსახურება მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის საქმეს, სამედიცინო მეცნიერებას. მ. წინამძღვრიშვილის სახელი ფართოდ არის ცნობილი მთელ საბჭოთა კავშირში როგორც სახელგანთქმული თერაპევტისა და ნაყოფიერი მკვლევარისა, განსაკუთრებით გულის და სისხლძარღვების დაავადებათა დარგში.

განუწყვეტელი შრომით და თავდადებული მეცადინეობით მ. წინამძღვრიშვილმა მიაღწია პროფესორის, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის საპატიო წოდებას, თავისი საექიმო მოღვაწეობის განმავლობაში მან დამსახურებულად მოიხვეჭა დაავადებული გულის უებარი მკურნალის სახელი, რამაც მნიშვნელოვნად აამაღლა მისი როგორც ექიმის ავტორიტეტი და პოპულარობა.

პროფესორ წინამძღვრიშვილის მიერ შემუშავებულმა ჰიპერტონიული დაავადების ორიგინალურმა კლასიფიკაციამ ფართო გამოყენება ჰპოვა საბჭოთა კავშირში. მან საქართველოში პირველად გამოიყენა გულით დაავადებულთა შორის მისი საზღვრების გამორკვევის ორტოპერკუსიული მეთოდი, რომელიც იძლევა გულის დაავადებათა დიფერენცირების გარკვეულ შესაძლებლობას რენტგენის დანადგარის გამოუყენებლად. მ. წინამძღვრიშვილის დაუღალავი შრომით და ინიციატივით საქართველოში საფუძველი ჩაეყარა საბჭოთა კავშირში პირველ სპეციალურ დაწესებულებას — კლინიკური და ექსპერიმენტული კარდიოლოგიის ინსტიტუტს, რომლის ორგანიზაციისათვის და მოწყობილობათა შეძენისათვის მთავრობამ მილიონები გაიღო. ამ ინსტიტუტში პროფესორ წინამძღვრიშვილის ხელმძღვანელობით გულისა და სისხლძარღვთა დაავადებანი კომპლექსურად ისწავლება, ასეთმა შესწავლამ ბევრი რამ ახალი შემატა თეორიულ და პრაქტიკულ კარდიოლოგიას. საფუძველი ეყრება აგრეთვე გულის თანდაყოლილი და შეძენილი მანკების ქირურგიული მკურნალობის [illegible] ტების საქმეს და ნიშანდებული ატომების გამოყენებას გულისა და სისხლძარღვების დაავადებათა ეტიოპათოგენეზის დადგენაში.

პროფესორ მ. წინამძღვრიშვილის კალამს ეკუთვნის 80-ზე მეტი მეცნიერული ნაშრომი, რომლებიც სამეცნიერო და პრაქტიკული მედიცინისათვის გარკვეულ განძს წარმოადგენს. დიდია მისი პედაგოგიური და საზოგადოებრივი დამსახურებაც. მ. წინამძღვრიშვილმა აღზარდა მრავალი სპეციალისტი, რომლებიც ამჟამად ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის დარგში. პროფესორ წინამძღვრიშვილის ხელმძღვანელობით შესრულებულია 20-ზე მეტი სადოქტორო და საკანდიდატო დისერტაცია. ჰოსპიტალური თერაპიის კლინიკაში, რომელსაც იგი ხელმძღვანელობს, 8.000-მდე ექიმი დახელოვნდა. ისინი სტუდენტობის დროს ამ კლინიკაში იღებდნენ დამოუკიდებელი მუშაობის ჩვევებსა და გამოცდილებას. აღსანიშნავია, რომ პროფესორი წინამძღვრიშვილი ახალგაზრდებს გადასცემს, როგორც თავის დიდ ცოდნასა და გამოცდილებას, ისე უნერგავს მათ მეცნიერებისადმი სიყვარულს, ავადმყოფებთან გულისხმიერ მოპყრობას.

მ. წინამძღვრიშვილი აღჭურვილია საბჭოთა მოქალაქის შესანიშნავი თვისებებით, იგი ჩვენი სოციალისტური სამშობლოს მგზნებარე პატრიოტი, საბჭოთა მეცნიერებისა და კულტურის დიდი ენთუზიასტია.

საბჭოთა ხელისუფლებამ ღირსეულად დააფასა მ. წინამძღვრიშვილის ხანგრძლივი ნაყოფიერი და სასარგებლო მოღვაწეობა. მას მინიჭებული აქვს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება, დაჯილდოებულია ლენინის და შრომის წითელი დროშის ორდენებით და მედლებით.

რესპუბლიკის მშრომელებმა პროფესორ მ. წინამძღვრიშვილს დიდი ნდობა გამოუცხადეს: სამჯერ აირჩიეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად. იგი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრია.

პროფესორი წინამძღვრიშვილი მიუხედავად ხანდაზმულობისა, კვლავ ახალგაზრდული გატაცებით ეწევა მეცნიერულ, პედაგოგიურ, ორგანიზაციულ, პრაქტიკულ და საზოგადოებრივ მოღვაწეობას. მთელს თავის ენერგიას დაუზარელად ახმარს მშრომელი ხალხის კეთილდღეობას.

პროფესორი
**დ. მამამთავრიშვილი.**

## ᲤᲐᲠᲗᲝᲕᲓᲔᲑᲐ ᲠᲐᲓᲘᲝᲡᲐᲢᲠᲐᲜᲡᲚᲐᲪᲘᲝ ᲥᲡᲔᲚᲘ

რადიო მტკიცედ დამკვიდრდა საბჭოთა ადამიანების ცხოვრებაში. ამჟამად რესპუბლიკაში მუშაობს 465 რადიოკვანძი, რომლებიც მოწყობილია თანამედროვე მოწინავე ტექნიკის მიხედვით და აღჭურვილია საუკეთესო აპარატურით. ეს კვანძები მომსახურებას უწევენ 167.701 რადიოსატრანსლაციო წერტს, მათ შორის 67.588 წერტს საკოლმეურნეო სოფელში. გარდა ამისა, რესპუბლიკის მოსახლეობას შეძენილი აქვს 76 ათასზე მეტი რადიომიმღები, აქედან 7 ათასზე მეტი დგას კოლმეურნეთა ოჯახებში.

სოფლების რადიოფიკაციის დარგში განსაკუთრებით დიდი მუშაობაა გაწეული უკანასკნელ წლებში. მარტო შარშან კოლმეურნეებმა საკუთარი საშუალებებით ააგეს 17 ახალი რადიოკვანძი და გაიყვანეს 286 კილომეტრი რადიოსატრანსლაციო ხაზები. ამჟამად რესპუბლიკაში მთლიანად რადიოფიცირებულია ყველა რაიონული ცენტრი და 1.161 სოფელი.

# Მ Ა Ს Ე Ბ Ი Ს Პ Ო Ლ Ი Ტ Ი Კ Უ Რ Ი Ა Ღ Ზ Რ Დ Ი Ს Მ Ძ Ლ Ა Ვ Რ Ი Ს Ა Შ Უ Ა Ლ Ე Ბ Ა

დღეს საბჭოთა ხალხი და მასთან ერთად მთელი პროგრესული კაცობრიობა აღნიშნავს დიდი რუსი მეცნიერი-გამომგონებლის ალექსანდრე სტეფანეს-ძე პოპოვის მიერ რადიოს გამოგონების მე-60 წლისთავს.

ა. ს. პოპოვის მიერ რადიოს გამოგონებიდან გავლილი 60 წლის მანძილზე რადიოტექნიკა გიგანტურად განვითარდა. მან განვლო საინტერესო გზა სატელეგრაფო სიგნალების გადაცემიდან გამოსახულებათა რადიოთი გადაცემამდე. რადიოტექნიკამ უაღრესად დიდი მნიშვნელობა მოიპოვა. ახლა მას კაცობრიობა იყენებს მეცნიერებისა და ტექნიკის, კულტურისა და სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში.

კომუნისტური პარტია ყოველთვის დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა რადიოს, როგორც ხალხის მასების დარაზმვის უბადლო საშუალებას. ჯერ კიდევ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის წინადღეს — 1917 წლის 24 ოქტომბერს პარტიის მითითებით პეტერბურგის სამხედრო-რევოლუციურმა კომიტეტმა კრეისერ „ავრორას" რადიოსადგურით გადასცა განკარგულება გარნიზონისადმი, რომელიც პეტროგრადის მისადგომებს იცავდა, სრულ საბრძოლო მზადყოფნაში ყოფილიყო რევოლუციის ცენტრის დასაცავად და კონტრრევოლუციასთან საბრძოლველად.

ეს იყო ისტორიაში პირველი ცდა აჯანყებული პროლეტარიატის მიერ რადიოს გამოყენებისა.

მეორე დღეს, 25 ოქტომბრის დილას, იმავე კრეისერ „ავრორას" რადიოსადგურით გადაცემულ იქნა ვ. ი. ლენინის მიერ დაწერილი მიმართვა „რუსეთის მოქალაქეებისადმი", რომელმაც მსოფლიოს აუწყა სახელმწიფო ძალაუფლების მშრომელთა ხელში გადასვლა. მომდევნო დღეებში რადიოთი გადასცემდნენ ლენინის დეკრეტებს ზავისა და მიწის შესახებ, აგრეთვე მნიშვნელოვან საშინაო და საგარეო ამბებს. რადიოს საშუალებით ლენინის მგზნებარე სიტყვები ეფინებოდა ქალაქებსა და სოფლებს, აღწევდა ხალხთა ფართო მასებამდე.

ვ. ი. ლენინმა გენიალური გამჭრიახობით შეაფასა რადიოს უდიდესი მნიშვნელობა სოციალისტური მშენებლობისათვის, ხალხის კულტურული და პოლიტიკური აღზრდისათვის.

ფართო მასობრივი რადიომაუწყებლობა საბჭოთა კავშირში იწყება 1924 წლის 23 ნოემბრიდან, როცა გაიხსნა რეგულარული რადიომაუწყებლობა კომინტერნის სახელობის სადგურით.

ერთი წლის შემდეგ, 1925 წელს, დაიწყო ფართო რადიომაუწყებლობა საქართველოში.

კომუნისტური პარტიის ყურადღებისა და ზრუნვის შედეგად რადიომაუწყებლობამ დიდი განვითარება ჰპოვა. ახლა ჩვენს ქვეყანაში ასობით რადიომაუწყებელი სადგური და ათეულ მილიონობით დანადგარია რადიოგადაცემათა მოსასმენად.

საბჭოთა მთავრობა ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ ჩვენს ქვეყანას მოწინავე, წამყვანი ადგილი ეკავოს რადიომაუწყებლობაში.

ლენინის იდეა უქაღალდო და უმანძილო გაზეთის, ადამიანის ცოცხალი სიტყვის უმავთულო რადიოკავშირით, რაც შეიძლება შორ მანძილზე გადაცემის შესახებ განხორციელებულია.

ჩვენს ქვეყანაში რადიო, ისევე როგორც მეცნიერებისა და ტექნიკის ყველა მიღწევა ხალხის საკუთრებაა და მას ემსახურება, ეხმარება კომუნიზმის მშენებლობაში, მშვიდობისა და ხალხთა შორის მეგობრობისათვის ბრძოლაში.

უდიდესია საბჭოთა რადიომაუწყებლობის მასშტაბები. რადიოგადაცემები ჩვენს ქვეყანაში განუწყვეტლივ, მთელი დღე-ღამის განმავლობაში წარმოებს.

მილიონობით ადამიანი ისმენს ყოველდღე „უკანასკნელ ცნობებს", რაც საბჭოთა რადიომაუწყებლობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სახეა. სისტემატურად გადაიცემა საუბრები, ლექციები და კონსულტაციები პარტიის ისტორიის, დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის, პოლიტიკური ეკონომიის შემსწავლელთა დასახმარებლად.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმმა მთელი ძალით აღნიშნა მძიმე მრეწველობის, როგორც კომუნიზმის მატერიალური ბაზის, შემდგომი მძლავრი განვითარების აუცილებლობა. პლენუმმა დასახა ამოცანა, რომ უახლოეს წლებში მარცვლეულის საერთო მოსავალი ჩვენს ქვეყანაში გადიდდეს სულ მცირე 10 მილიარდ ფუთამდე წელიწადში და ორ-ორ ნახევარჯერ გაიზარდოს მეცხოველეობის ძირითადი პროდუქტების წარმოება. ეს ამოცანა მით უფრო წარმატებით შესრულდება, რაც უფრო მეტი და მნიშვნელოვანი იქნება მიღწევები მძიმე ინდუსტრიის განვითარებაში.

ამიტომ, როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივ (მათ შორის ჩვენი რესპუბლიკის) რადიომაუწყებლობაში ფართოდ შუქდება საბჭოთა ხალხის ბრძოლა ლითონის, მანქანების, ელექტროენერგიის წარმოების გადიდებისათვის, ქვანახშირისა და ნავთობის ამოღების გაზრდისათვის, შუქდება სოციალისტური შეჯიბრება მეხუთე ხუთწლედისა და მიმდინარე 1955 წლის გეგმების ვადამდე შესრულებისათვის, შრომის ნაყოფიერების შემდგომი განუხრელი ზრდისათვის.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1953 წლის სექტემბრის პლენუმის შემდეგ რადიომაუწყებლობაში დიდი ადგილი ეთმობა გადაცემებს სოფლის მეურნეობის საკითხებზე. ეს გადაცემები სისტემატურ ხასიათს ატარებს და მსმენელებს განუმარტავს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის პოლიტიკასა და გადაწყვეტილებებს სოფლის მეურნეობის დარგში. რადიო ეწევა სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობის ღონისძიებათა პოპულარიზაციას, აცნობს მსმენელებს მოწინავე კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მიღწევებს, ეწევა მოწინავე საბჭოთა აგრო-ბიოლოგიური მეცნიერების ახალ აღმოჩენათა, მუშაობის ახალი პროგრესული მეთოდებისა და ხერხების, ყამირი მიწების ათვისებაში მოპოვებული წარმატების, მარცვლეულის, პირველ რიგში სიმინდის წარმოების განვითარებისათვის, მეცხოველეობის მტკიცე საკვები ბაზის შექმნისა და პირუტყვის პროდუქტიულობის გაზრდისათვის სოფლის მშრომელთა სოციალისტური შეჯიბრების შედეგების პროპაგანდას.

რადიო მნიშვნელოვან როლს ასრულებს მოწინავე საბჭოთა მეცნიერების მიღწევათა და საბჭოთა ტექნიკის განვითარების პროპაგანდაში. ამ მიზანს ემსახურება რადიოგადაცემები სამეცნიერო-საბუნებისმეტყველო თემებზე.

რადიომაუწყებლობაში დიდი ადგილი აქვს დათმობილი მუსიკალურ, ლიტერატურულ და დრამატულ გადაცემებს. საბჭოთა რადიო უხვად აცნობს ფართო მასებს საბჭოთა და კლასიკური მუსიკის, ლიტერატურისა და დრამატურგიის მიღწევებს. ლიტერატურულ-დრამატული რადიოგადაცემები გვეხმარება იმაში, რომ მხატვრული ლიტერატურის საშუალებებით გავწიოთ საბჭოთა სახელმწიფოს პოლიტიკის პროპაგანდა, ხელი შევუწყოთ საბჭოთა ადამიანის ხასიათის საუკეთესო თვისებების, მისი მაღალი იდეური და მორალური თვისებების განვითარებას, ეს გადაცემები ეხმარება მსმენელს კულტურული დონის ამაღლებაში.

ყველასათვის ცნობილია, თუ რა უდიდესი სიყვარულით არიან გარემოსილნი ჩვენში ბავშვები. მოზარდი თაობისთვის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დაუღალავი ზრუნვის ერთ-ერთ ნათელ გამოხატულებას წარმოადგენს ცალკე რადიომაუწყებლობის მოწყობა ბავშვებისა და ჭაბუკებისათვის.

საბჭოთა რადიო ეხმარება სკოლას და ოჯახს ბავშვების აღზრდასა და სწავლებაში, უვითარებს ბავშვებს ინტერესს ცოდნისადმი, ხელს უწყობს ახალი საბჭოთა ადამიანის ჩამოყალიბებას.

საქართველოს საბავშვო რადიომაუწყებლობას გარკვეული მიღწევები აქვს, მაგრამ ზოგიერთი გადაცემა სცილდება პედაგოგიური აღზრდის ნორმებს და, მაშასადამე, სარგებლობის ნაცვლად საზიანო ხდება. ამაზე სავსებით მართებულად მიუთითებდა ამას წინათ პრესა, და საბავშვო გადაცემათა რედაქციამ აქედან სათანადო დასკვნები უნდა გააკეთოს.

მოწინავე მუსიკისა და ხელოვნების, პოლიტიკური და სამეცნიერო ცოდნის პროპაგანდის ერთ-ერთ დიდმნიშვნელოვან საშუალებას წარმოადგენს საბჭოთა ტელევიზია. ჩვენს ქვეყანაში იგი ყოველწლიურად ვითარდება.

ამჟამად რეგულარული სატელევიზიო გადაცემები ეწყობა მოსკოვში, ლენინგრადსა და კიევში. წელს დაიწყო სატელევიზიო გადაცემები ხარკოვში, რიგასა და ომსკში. ახლო მომავალში ამუშავდება ტელეცენტრები ტალინში, სვერდლოვსკსა და ტომსკში. დასახულია დიდი პროგრამა სატელევიზიო ცენტრების მშენებლობისა მოკავშირე რესპუბლიკებში და რუსეთის ფედერაციის დიდ ქალაქებში.

კერძოდ, თბილისში, სატელევიზიო ცენტრის ამუშავება ნავარაუდევია წელს, შემოდგომაზე.

ტელევიზიაში ახალი სიტყვაა ფერადი ტელეხედვა. მოსკოვში ასეთი ტელეცენტრი უკვე აგებულია და გასული წლის დამლევიდან წარმოებს გამოსახულებათა საცდელი გადაცემები ნატურალურ ფერებში.

განუხრელად მაღლდება საბჭოთა ადამიანების პოლიტიკური და კულტურული დონე, იზრდება მათი სულიერი მოთხოვნილებები. ეს გარემოება ავალებს რადიომუშაკებს არ დაკმაყოფილდნენ მიღწეულით, არამედ დაუღალავად ამაღლონ რადიოგადაცემათა იდეურ-პოლიტიკური და მხატვრული დონე. სრულად უნდა იქნას გამოყენებული რადიოს უმდიდრესი შესაძლებლობანი იმისათვის, რომ რადიოგადაცემების პროგრამები დგებოდეს უფრო მრავალფეროვნად და მაღალხარისხოვნად. უფრო მეტად უნდა გავზარდოთ რადიოს როლი ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ, სამეურნეო და კულტურულ ცხოვრებაში.

საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებისაგან განსხვავებით, სადაც რადიომაუწყებლობა და ტელეხედვა ხალხს ემსახურება და მასების განათლების საშუალებას წარმოადგენს, კაპიტალიზმის ქვეყნებში, განსაკუთრებით ამერიკაში ისინი ემორჩილებიან მმართველი კლასების ინტერესებს და გამოყენებული არიან მშრომელთა შეგნების მოსაწამლავად, მათი მორალური გახრწნისათვის, ატომური ომის იდეოლოგიური მომზადებისათვის, „ძალის პოზიციის" პოლიტიკის პროპაგანდისათვის.

მაგრამ რაც უნდა ეცადოს, რეაქციული რადიოპროპაგანდა ვერ შეძლებს ხალხების მოტყუებას, ვერ შეძლებს მშვიდობისადმი მათი მისწრაფების ჩახშობას, ატომური ომის გამჩაღებლების წინააღმდეგ აზვირთებული პროტესტის ჩახშობას. მოსახლეობის სხვადასხვა ფენაში იზრდება გულისწყრომა ცრუ ამერიკული რადიოგადაცემებისადმი, რომლებიც გაჟღენთილია ომის ისტერიით, საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ ბინძური ცილისწამებით.

მთელი მსოფლიოს უბრალო ადამიანებმა იციან, სად არის სიმართლის წყარო, და თავიანთ რადიომიმღებებს მართავენ მოსკოვის ტალღებზე, საბჭოთა ქვეყნის რადიოსადგურების ტალღებზე.

საბჭოთა რადიო მილიონობით ადამიანებს უნერგავს მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის მძლავრი ბანაკის გამარჯვების რწმენას.

**ა. კელენჯერიძე,**
საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს რადიოინფორმაციის მთავარი სამმართველოს უფროსი.

# ინდოეთის პარლამენტის დელეგაცია საბჭოთა კავშირში გამოემგზავრა

დელი, 5 მაისი. (საკდესი). დღეს შუადღისას დელის პალამის აეროდრომიდან მოსკოვს გაფრინდა ინდოეთის პარლამენტის წევრთა დელეგაცია 12 კაცის შემადგენლობით. დელეგაციას მეთაურობს ინდოეთის პარლამენტის ზედა პალატის — შტატების საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე კრიშნამურტი რაო.

დელეგაცია აეროდრომზე გააცილეს სსრ კავშირის ელჩმა ინდოეთში მენშიკოვმა, ინდოეთის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ საიედ მაჰმუდმა, ინდოეთის პარლამენტის ორივე პალატის წევრებმა, დედაქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლებმა.

გამგზავრების წინ ელჩმა მენშიკოვმა დარბაზობა მოაწყო ინდოეთის დელეგაციის პატივსაცემად, რომელიც საბჭოთა კავშირში მიემგზავრება. დარბაზობაზე, რომელმაც მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა, იყვნენ პარლამენტის ბევრი წევრი, ინდოეთის პარლამენტის ქვედა პალატის — სახალხო პალატის თავმჯდომარე მავალანკარი, საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები, მთავრობის დაწესებულებათა პასუხისმგებელი თანამშრომლები, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

## დანიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განცხადება

კოპენჰაგენი, 6 მაისი. (საკდესი). გაზეთმა „ლანდ ოგ ფოლკმა" განთავისუფლების დღესთან დაკავშირებით გამოაქვეყნა დანიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის განცხადება, რომელშიც აღნიშნულია, რომ დანიელი ხალხის მისწრაფება მშვიდობიანი დემოკრატიული ცხოვრებისა და კეთილდღეობისადმი არ განხორციელდა, რადგან დანია შევიდა სამხედრო ბლოკში, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების ინტერესებს ემორჩილება, მაშინ როცა ჩვენს ქვეყანას მოელის ახალი საფრთხე დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაციასთან დაკავშირებით. ცენტრალური კომიტეტი თავის განცხადებაში მოითხოვს ბრძოლას იმის წინააღმდეგ, რომ დანია უცხოეთის ჯარების ბაზად გადაიქცეს. განცხადებაში აღნიშნულია, რომ „დანია უნდა ახორციელებდეს დამოუკიდებელ საგარეო პოლიტიკას, რომელიც უზრუნველყოფს მის ინტერესებს. დანიამ განსაკუთრებით უნდა დაუჭიროს მხარი ყოველ მისწრაფებას საერთაშორისო კონფლიქტების მშვიდობიანი გადაჭრისადმი".

## საფრანგეთის ეროვნული კრების საგარეო საქმეთა კომისიაში

პარიზი, 5 მაისი. (საკდესი). საფრანგეთის ეროვნული კრების საგარეო საქმეთა კომისიის დღევანდელ სხდომაზე განიხილეს საარის შესახებ საფრანგეთ-დასავლეთ გერმანიის შეთანხმების საკითხი. 25 ხმით 5 ხმის წინააღმდეგ („დამოუკიდებელი რესპუბლიკელები"), ორმა თავი შეიკავა (სახალხო რესპუბლიკური მოძრაობის პარტიის წევრები), კომისიამ მიიღო რეზოლუცია, რომელშიც გამოთქვამს „მწუხარებას, რომ მთავრობამ გადაწყვიტა პარიზის შეთანხმებათა სარატიფიკაციო სიგელების დეპონირება, სანამ მოწესრიგდებოდეს საფრანგეთ-გერმანიის ძირითადი უთანხმოება და სანამ საფრანგეთის პარლამენტი მოიწონებდეს" (ამ მოწესრიგებას. — რედ.).

## პროტესტები საფრანგეთში პარიზის შეთანხმებათა სარატიფიკაციო სიგელების დეპონირების წინააღმდეგ

პარიზი, 5 მაისი. (საკდესი). საფრანგეთის პროგრესული საზოგადოებრიობა პროტესტს აცხადებს პარიზის შეთანხმებათა სარატიფიკაციო სიგელების დეპონირებისა და იმის წინააღმდეგ, რომ ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის საბჭოს სესიის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად პარიზში ჩამოვა კანცლერი ადენაუერი.

მშვიდობის ეროვნულმა საბჭომ გამოაქვეყნა სპეციალური განცხადება, რომელშიც პროტესტს აცხადებს იმის წინააღმდეგ, რომ ედგარ ფორის მთავრობა ჩქარობს შესანახავად გადასცეს სარატიფიკაციო სიგელები და უგულებელყოფს იმ ვალდებულებებს, რომლებიც მან პარლამენტში იკისრა.

კომუნიკეში, რომელიც გამოაქვეყნა „გერმანიის პრობლემის მშვიდობიანი გადაჭრისათვის ბრძოლის საფრანგეთის კომიტეტმა", აღშფოთებით არის აღნიშნული, რომ დეპონირება სარატიფიკაციო სიგელებისა, რომლებიც გზას უხსნიან ბონელი რევანშისტების შეიარაღებას, ემთხვევა იმ გამარჯვების მე-10 წლისთავს, რომელიც მოკავშირეებმა ჰიტლერელთა არმიებზე მოიპოვეს.

კომიტეტმა ერთსულოვნად გადაწყვიტა განაგრძოს ბრძოლა გერმანიის მილიტარიზაციის წინააღმდეგ, ისეთი პოლიტიკის განხორციელებისათვის, რომელსაც შეუძლია უზრუნველყოს საფრანგეთის დამოუკიდებლობა, ევროპის ქვეყნების უშიშროება და მოამზადოს საყოველთაო განიარაღების ნიადაგი.

წინააღმდეგობის მოძრაობის ყოფილ მონაწილეთა ეროვნულმა ასოციაციამ პარლამენტის ყველა დეპუტატს გაუგზავნა წერილი, რომელშიც პროტესტს აცხადებს პარიზის შეთანხმებათა სარატიფიკაციო სიგელების შესანახავად გადაცემის წინააღმდეგ და მოუწოდებს დეპუტატებს იბრძოლონ იმისათვის, რომ გერმანიის პრობლემა მშვიდობიანი გზით გადაიჭრას.

სენის დეპარტამენტის ყოფილ ფრონტელთა რესპუბლიკური ასოციაციის ფედერაციამ განაცხადა, რომ პარიზში ადენაუერის ჩამოსვლას იგი მიიჩნევს ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლის „მსხვერპლთა ხსოვნის შეურაცხყოფად".

## პარიზის შეთანხმებათა სარატიფიკაციო სიგელების დეპონირება

ბრიუსელი, 5 მაისი. (საკდესი). დღეს ინგლისმა, საფრანგეთმა და დასავლეთმა გერმანიამ ბელგიის მთავრობას შესანახავად გადასცეს პარიზის შეთანხმებათა იმ ნაწილის სარატიფიკაციო სიგელები, რომელიც ეგრეთწოდებული „დასავლეთ ევროპის კავშირის" შექმნას ეხება (ბრიუსელის ხელშეკრულების ოქმები, რომლებიც ცვლიან და ავსებენ ამ ხელშეკრულებას და ითვალისწინებენ, კერძოდ, მასთან იტალიისა და დასავლეთ გერმანიის შეერთებას).

ამ სამხედრო კავშირის მონაწილე დანარჩენმა ქვეყნებმა — ბელგიამ, ჰოლანდიამ, ლუქსემბურგმა და იტალიამ უკვე უფრო ადრე ჩააბარეს სარატიფიკაციო სიგელები.

## ბელგრადში ჩავიდა თურქეთის პრემიერ-მინისტრი მენდერესი

ბელგრადი, 5 მაისი. (საკდესი). ბელგრადში ოფიციალური ვიზიტით ჩამოვიდა თურქეთის პრემიერ-მინისტრი და საგარეო საქმეთა მინისტრი მენდერესი.

გაზეთი „ბორბა" ეხება მენდერესის ვიზიტს და წერს, რომ იგი „ხელს შეუწყობს ბალკანეთში იუგოსლავიის, თურქეთისა და საბერძნეთს შორის თანამშრომლობის პოლიტიკას".

## გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიის ქვეკომიტეტის სხდომა

ლონდონი, 6 მაისი. (საკდესი). გუშინ სსრ კავშირის წარმომადგენლის ი. ა. მალიკის თავმჯდომარეობით გაიმართა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიის ქვეკომიტეტის მორიგი სხდომა. შემდეგი სხდომა გაიმართება 10 მაისს.

## ინგლისის პროფკავშირის მოთხოვნა

ლონდონი, 5 მაისი. (საკდესი). მეთუნუქეთა და მესპილენძეთა ეროვნული პროფკავშირის იმ ყოველწლიური კონფერენციის მონაწილეებმა, რომელიც მანჩესტერში მიმდინარეობს, გუშინ მიიღეს რეზოლუცია, რომელიც მოითხოვს ინგლისიდან ამერიკის ჯარების გაყვანას და განიარაღების მსოფლიო კონფერენციის მოწვევას.

კონფერენციაზე მიიღეს აგრეთვე რეზოლუციები, რომლებიც მოითხოვენ ატომური და წყალბადის იარაღის აკრძალვას, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კანონიერ უფლებათა აღდგენას გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში და კუნძულ ტაივანიდან ჩანკაიშელთა ჯარების გაყვანას.

## გრძელდება ინგლისელ მაღაროელთა გაფიცვა

ლონდონი, 5 მაისი. (საკდესი). გუშინ დონკასტერის ქვანახშირის აუზის გაფიცულ მაღაროელებს შეუერთდნენ კიდევ 28 შახტის მუშები, რის შედეგად გაფიცულთა საერთო რაოდენობამ 70 ათასს მიაღწია.

მეშახტეები, რომლებიც ხელფასის მომატებას მოითხოვენ, გაფიცული არიან მიუხედავად მაღაროელთა პროფკავშირის ადგილობრივი განყოფილების ხელმძღვანელობის მოწოდებისა — შეწყვიტონ ბრძოლა.

## მდგომარეობა სამხრეთ ვიეტნამში

პარიზი, 5 მაისი. (საკდესი). როგორც უკვე ვიუწყებოდით, ამერიკის შეერთებული შტატების აგენტმა სამხრეთ ვიეტნამში პრემიერ მინისტრმა ნგო დინ დიემმა მოუწოდა მუნიციპალურ და პროვინციულ ხელისუფლებს, აგრეთვე სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიებს გაგზავნონ თავიანთი წარმომადგენლები საიგონში ეგრეთწოდებულ ეროვნულ კონგრესზე.

როგორც ფრანს პრესის სააგენტო იუწყება, დღეს „ეროვნულმა კონგრესმა" მოიწონა გადაწყვეტილება, რომ ბაო დაის ჩამოერთვას სახელმწიფოს მეთაურის უფლებები და დაავალა ნგო დინ დიემს შეადგინოს დროებითი მთავრობა, რომელიც განაგებს ქვეყანას ეროვნული კრების მოწვევამდე.

## მოძრაობა აგრარული რეფორმისათვის ბრაზილიაში

მონტევიდეო, 6 მაისი. (საკდესი). ბრაზილიაში ფართოვდება მოძრაობა აგრარული რეფორმის განხორციელებისათვის. ბრაზილიის საზოგადოებრიობა ებმება კამპანიაში, რომ შეგროვდეს 5 მილიონი ხელმოწერა მოთხოვნაზე დემოკრატიული აგრარული რეფორმის განხორციელების შესახებ. გაზეთი „ვოზ ოპერარია" აღნიშნავს, რომ კამპანიას მხარს უჭერენ პოლიტიკური, კულტურული, რელიგიური, პროფკავშირული წრეების თვალსაჩინო წარმომადგენლები.

რიო-დე-ჟანეიროში ყველა პარტიის ბევრმა პოლიტიკურმა მოღვაწემ და სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენლებმა დეპუტატ დანტონ კოელიოს (ბრაზილიის მუშათა პარტია) მეთაურობით მოაწერეს ხელი მოწოდებას მოსახლეობისადმი — ჩაებას ბრძოლაში მსხვილი ლატიფუნდიების მოსპობისათვის.

სეარისა და პარის შტატების საკანონმდებლო კრებებმა ოფიციალურად განაცხადეს, რომ მხარს უჭერენ აგრარული რეფორმის განხორციელების კამპანიას.

გაზეთი „ვოზ ოპერარია" იუწყება, რომ მთელ ბრაზილიაში იმართება გლეხთა და დემოკრატიული საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა კრებები, მიტინგები, გამოსვლები, რომლებიც მოითხოვენ აგრარული რეფორმის განხორციელებას.

# „გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ ჯაშუშური და ძირგამომთხრელი საქმიანობის ცდები ჩაიფუშება"

### პრეს-კონფერენცია ბერლინში

ბერლინი, 5 მაისი. (საკდესი). გუშინ ბერლინში გაიმართა პრეს-კონფერენცია, რომელიც მოაწყო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრთან არსებულმა პრესის უწყებამ.

გერმანიისა და უცხოეთის პრესის კორესპონდენტების წინაშე განცხადება გააკეთა სახელმწიფო უშიშროების საკითხთა სტატს-სამდივნოს წარმომადგენელმა გ. ბორმანმა. მან დამსწრეთ მოაგონა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მიმდინარე წლის 12 აპრილის განცხადება რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედ უცხოელ ჯაშუშთა და სხვა აგენტთა მხილების შესახებ და გელენის ჯაშუშური ორგანიზაციისა და დასავლეთ ბერლინის სხვადასხვა დაზვერვის ცენტრების 521 აგენტის დაპატიმრების შესახებ. ამ განცხადებაში, თქვა მან, აღნიშნული იყო, რომ საზოგადოებრიობას დაწვრილებით ეცნობება შეპყრობილ ჯაშუშთა და დივერსანტთა დანაშაულებრივი საქმიანობა.

ამასთან დაკავშირებით ბორმანმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამ აგენტების საქმის შემდგომი გამოძიებით უფრო სრულად გამომჟღავნებულია მათი დანაშაულებრივი საქმიანობა, მიმართული გერმანელი ხალხისა და გერმანიის მეზობელი მშვიდობისმოყვარე ხალხების წინააღმდეგ. დაზვერვის ცენტრებმა და ჯაშუშურმა ორგანიზაციებმა, როგორც ამას ადასტურებს ყოფილი აგენტების ჩვენება, აგრეთვე ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთები, თქვა მან, პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაციასთან დაკავშირებით მიიღეს მითითება — მნიშვნელოვნად გააძლიერონ დანაშაულებრივი საქმიანობა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში.

ფაქტები მოწმობენ, რომ ამერიკელმა და ინგლისელმა იმპერიალისტებმა ომის მომზადების გეგმებში დასავლეთ ბერლინი გადააქციეს თავის უმნიშვნელოვანეს ჯაშუშურ და სადივერსიო ცენტრად.

გელენის ჯაშუშური ორგანიზაციის გარდა, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ ჯაშუშურ და ძირგამომთხრელ მუშაობას ეწეოდნენ აგრეთვე დასავლეთ ბერლინის დაზვერვის დამხმარე ორგანოები, მაგალითად, ეგრეთწოდებული „არაადამიანობის წინააღმდეგ ბრძოლის ჯგუფი", „რიასი", ეგრეთწოდებული „თავისუფალ იურისტთა საგამომძიებლო კომიტეტი" და სხვ.

მოყვანილი მრავალი კონკრეტული ფაქტით ბორმანმა ცხადყო, რომ ამერიკელმა და ინგლისელმა იმპერიალისტებმა, რათა მოემზადებინათ მშვიდობისმოყვარე ხალხების წინააღმდეგ მიმართული თავიანთი აგრესიული ზრახვების განხორციელება და, კერძოდ, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაზე სამხედრო თავდასხმის მიზნით დასავლეთ ბერლინი გადააქციეს ჯაშუშურ ცენტრად, კერძოდ, საიდანაც გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გზავნიან ჯაშუშებს, დივერსანტებს, მესაბოტაჟეებსა და გერმანელი ხალხის სხვა მტრებს.

მაგრამ, თქვა ბორმანმა, ჩაიფუშება ამერიკის, ინგლისისა და სხვა ჯაშუშური და დაზვერვის ცენტრების ყველა ცდა — ჯაშუშური და ძირგამომთხრელი მუშაობა აწარმოონ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ორგანოები ემყარებიან არა მარტო რესპუბლიკის მშრომელი მოსახლეობის, არამედ აგრეთვე დასავლეთ ბერლინისა და დასავლეთი გერმანიის მშრომელი მოსახლეობის დახმარებას. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა ველარ შეურიგდება რაიმე პროვოკაციას, რომელიც დასავლეთ ბერლინიდან მიმდინარეობს, და რომ სათანადო ორგანოებმა ყველა ღონისძიება მიიღეს მშვიდობისმოყვარე მოქალაქეთა სიცოცხლისა და საკუთრების დასაცავად, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელების მშვიდობიან მონაპოვართა დასაცავად.

მოაგონა რა დამსწრეთ, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს 12 აპრილის განცხადება შეიცავს დაპირებას, რომ უზრუნველყოფილი იქნება დაუსჯელობა და ლმობიერება მათდამი, ვინც დროზე გაწყვეტს კავშირს იმპერიალისტურ აგენტურებთან და ნებაყოფლობით გამოცხადდება სახელმწიფო უშიშროების ორგანოებში, ბორმანმა თქვა, რომ ამ განცხადების გამოქვეყნების შემდეგ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ორგანოებში ნებაყოფლობით გამოცხადდა 80-ზე მეტი აგენტი. მათთვის, ისევე როგორც სხვა აგენტებისათვის, რომლებიც მოისურვებენ ხელი აიღონ თავიანთ დანაშაულებრივ საქმიანობაზე, უზრუნველყოფილია დაუსჯელობა.

რაც შეეხება შეპყრობილ აგენტებსა და დივერსანტებს, მათ სამართალში მისცემენ.

პრეს-კონფერენციაზე ილაპარაკეს აგრეთვე მთელმა რიგმა ყოფილმა აგენტებმა, რომლებმაც ხელი აიღეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ თავიანთ დანაშაულებრივ საქმიანობაზე, ნებაყოფლობით გამოცხადდნენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის უშიშროების ორგანოებში და ითხოვეს თავშესაფარი. თავიანთ განცხადებებში, აგრეთვე პასუხში მრავალ შეკითხვაზე მათ ილაპარაკეს, თუ როგორ გადაიბირეს ისინი, აგრეთვე რა დანაშაულებრივ საქმიანობას ეწეოდნენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

პრეს-კონფერენციის დამთავრების შემდეგ შეკრებილნი გაეცნენ მამხილებელ ნივთებიანად შეპყრობილი ჯაშუშებისა და დივერსანტების დანაშაულებრივი საქმიანობის ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთების გამოფენას. გამოფენაზე წარმოდგენილია სასროლი და ცივი იარაღი, რადიოაპარატურა და კავშირგაბმულობის სხვა საშუალებანი, ყალბი დოკუმენტები, სასურსათო ბარათები, ფული, შხამები, შრიფტები ფურცლების დასამზადებლად, ფეთქებადი ნივთიერებანი, საათის მექანიზმები ტერორისტული აქტების განსახორციელებლად, ბევრი ფოტოსურათი და სხვა დოკუმენტები.

# გერმანიის გათიშვის გასაღრმავებლად გადადგმული ნაბიჯი

ბერლინი, 5 მაისი. (საკდესი). როგორც ადნ-ის სააგენტო იუწყება, დღეს ბონში ინგლისისა და საფრანგეთის უმაღლესმა კომისრებმა თავიანთი მთავრობების სახელით შესანახავად გადასცეს (მოახდინეს დეპონირება) სარატიფიკაციო სიგელები ეგრეთწოდებული „საოკუპაციო რეჟიმის (დასავლეთ გერმანიაში) შეწყვეტის ოქმისა", რომელსაც „გერმანიის ხელშეკრულება" ეწოდება და რომელიც შედის დასავლეთ გერმანიის შეიარაღების შესახებ პარიზის შეთანხმებათა შემადგენლობაში. ამით დამთავრდა ყველა ფორმალობა იმისათვის, რომ ხსენებული ხელშეკრულება ძალაში შევიდეს.

ბონის პროპაგანდა ცდილობს დაფაროს ის ფაქტი, რომ „გერმანიის ხელშეკრულების" ძალაში შესვლა ნამდვილად იმის მომასწავებელი იქნება, რომ დასავლეთ გერმანიაში გაგრძელდეს ოკუპაცია სხვა აბრით და რომ ამას საერთო არა აქვს რა ნამდვილი სუვერენიტეტის მინიჭებასთან. როგორც ცნობილია, „გერმანიის ხელშეკრულება" ითვალისწინებს, რომ დასავლეთის სამი სახელმწიფოს შეიარაღებული ძალები დასავლეთ გერმანიის ტერიტორიაზე დარჩნენ 50 წელიწადს. იგი შეიცავს დებულებებს, რომლებიც დასავლეთის სახელმწიფოებს ანიჭებენ უფლებას ჩაერიონ დასავლეთ გერმანიის საშინაო საქმეებში და, მეორე მხრივ, არ აძლევენ დასავლეთ გერმანიას იმის უფლებას, რომ დამოუკიდებლად გამოვიდეს ისეთ დიდმნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიც არის გერმანიის გაერთიანება და სხვა სახელმწიფოებთან კონტაქტის დამყარება.

ამრიგად, ამ „ხელშეკრულების" ძალაში შესვლა მოასწავებს დასავლეთის სახელმწიფოებისა და ბონის მთავრობის შემდგომ ნაბიჯს გერმანიის გათიშვის გაღრმავების გზაზე.


ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისის რადიოტექნიკუმის მოსწავლეები [illegible]

ფოტო [illegible]

## ცნობილი ბრაზილიელი პიანისტი ანა სტელა შიკი თბილისში

თბილისში სტუმრად არის ბრაზილიის კულტურის მოღვაწეთა დელეგაცია, რომელშიც შედის ბრაზილიის ცნობილი პიანისტი და პროგრესული საზოგადო მოღვაწე ანა სტელა შიკი.

დღეს ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის დარბაზში გაიმართება ანა სტელა შიკის კონცერტი. კონცერტის პროგრამაშია დასავლეთ ევროპის მუსიკალური კლასიკის, საბჭოთა კომპოზიტორებისა და გამოჩენილი ბრაზილიელი კომპოზიტორების ვილა ლობოსის, კამარგო-გუარნიერის, ფრუტუოსო ვიანისა და კლაუდიო სანტოროს ნაწარმოებნი.

ამ უკანასკნელ წლებში ანა სტელა შიკმა დიდი წარმატებით მოაწყო გასტროლები პარიზში, ლონდონში, პრაღაში, ვარშავაში, ჟენევასა და ბრაზილიის სხვადასხვა ქალაქებში. მისი კონცერტი თბილისში პიანისტის პირველი გამოსვლაა საბჭოთა კავშირში.

საქდესის კორესპონდენტთან საუბარში ქ-ნმა ანა სტელა შიკმა განაცხადა:

— ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირში ჩამოსვლამდე მე, ისევე როგორც ჩემს სხვა თანამემამულეებს, ბევრი რამ მქონდა გაგონილი საბჭოთა ქვეყანაში ხელოვნების განვითარების მაღალ დონეზე.

რუსული მუსიკალური კლასიკისა და საბჭოთა კომპოზიტორების ნაწარმოებნი დიდი პოპულარობით სარგებლობენ ბრაზილიაში. ჩვენ ვიცნობთ ქართველი საბჭოთა კომპოზიტორების ცალკეულ ნაწარმოებებსაც. ერთ-ერთ კონცერტზე რიო-დე-ჟანეიროში მე შევასრულე ა. მაჭავარიანის საფორტეპიანო პიესა „ხორუმი".

მე დიდად კმაყოფილი ვიქნები, თუ სსრ კავშირში ჩემი ყოფნა ხელს შეუწყობს ჩვენს ქვეყნებს შორის კულტურული ურთიერთობის განმტკიცებას.

გთხოვთ გადასცეთ თბილისის მშრომელებს დიდი გულწრფელი მეგობრობის სიტყვები ბრაზილიელი ხალხისაგან, რომელსაც, ისევე როგორც მთელ საბჭოთა ხალხს, მხურვალედ სურს მშვიდობა, ხალხთა მეგობრობისა და თანამშრომლობის განმტკიცება. (საქდესი).

**რედაქტორი ნ. ჯაში.**

---

**საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მევენახეობა-მეღვინეობის ინსტიტუტი** აცხადებს კონკურსს შემდეგ თანამდებობებზე:

1. მევენახეობა-მეღვინეობის ინსტიტუტში (თბილისი) — ბიოქიმიის განყოფილების გამგე — უფროსი მეცნიერი თანამშრომელი მეცნიერებათა დოქტორის ან კანდიდატის ხარისხით; უფროსი მეცნიერი თანამშრომელი მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხით: აგროტექნიკაში — 1, მეღვინეობაში — 2;

2. თელავის ზონალურ საცდელ სადგურში (თელავი) — მცენარეთა დაცვის განყოფილების გამგე — უფროსი მეცნიერი თანამშრომელი მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხით; სელექციის განყოფილების გამგე — უფროსი მეცნიერი თანამშრომელი მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხით; მეღვინეობის განყოფილების გამგე — უფროსი მეცნიერი თანამშრომელი მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხით;

3. საქარის ზონალურ საცდელ სადგურში (ზესტაფონი) — მცენარეთა დაცვის განყოფილების გამგე — უფროსი მეცნიერი თანამშრომელი მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხით.

მსურველებმა განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ უნდა შემოიტანონ ინსტიტუტის დირექტორის სახელზე და დაურთონ შემდეგი საბუთები: კადრების აღრიცხვის პირადი ბარათი, ავტობიოგრაფია, უმაღლესი განათლების დიპლომის ნოტარიალური პირი, სამეცნიერო წოდებისა და ხარისხში დამტკიცების საბუთების ნოტარიალური პირები, საქმიანი და საზოგადოებრივი დახასიათება მუშაობის უკანასკნელი ადგილიდან, შრომების სია და რეცენზიები.

კონკურსის ვადაა ერთი თვე დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა.

ინსტიტუტის მისამართი: ქ. თბილისი, საფოსტო განყოფილება 15.

---

**საქართველოს სსრ ჯანდაცვის სამინისტროს ნ. მახვილაძის სახელობის შრომის ჰიგიენის და პროფდაავადებათა ინსტიტუტი** აცხადებს კონკურსს შემდეგ თანამდებობებზე: კლინიკური ორდინატორი — 1 და ასპირანტურაში მიღებას 1955-56 სასწავლო წლისათვის მოზარდთა შრომის ჰიგიენის სპეციალობაზე (ერთი ადგილი).

ორდინატურაში მიიღებიან უმაღლესი სამედიცინო განათლების მქონე პირები, არაუმეტეს 30 წლის ასაკისა, რომლებსაც ექნებათ პრაქტიკული მუშაობის სამი წლის სტაჟი.

ასპირანტურაში მიიღებიან უმაღლესი სამედიცინო განათლების მქონე პირები არაუმეტეს 40 წლის ასაკისა.

საკონკურსო მისაღებ გამოცდებზე დაიშვებიან ის პირები, რომლებსაც აქვთ მრეწველობის მუშათა ჯანდაცვის დარგში მუშაობის სულ მცირე სამი წლის სტაჟი.

გამოცდები იწარმოებს 15 ივნისიდან 15 ივლისამდე შემდეგ დისციპლინებში: მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლები, სპეციალური დისციპლინა, რუსული და ერთი უცხო ენა.

განცხადებები სათანადო საბუთებით მიიღება 5 ივნისამდე ინსტიტუტის დირექტორის სახელზე (კლარა ცეტკინის ქ. № 126).

---

**თბილისის „დინამოს" სტადიონი**

8 მაისი

**ფეხბურთი**

სსრ კავშირის პირველობა

„ა" კლასი

**„დინამო"** (კიევი) — **„დინამო"** (თბილისი).

დუბლიორთა შემადგენლობა

დასაწყისი 2 საათზე

**„დინამო"** (კიევი) — **„დინამო"** (თბილისი)

ძირითადი შემადგენლობა

დასაწყისი 4 საათზე.

წვიმიანი ამინდის შემთხვევაში დუბლიორთა თამაში გადატანილ იქნება 26 კომისრის რაიონის სტადიონზე.

---

**დღეს**

**თბილისის თეატრებში**

ოპერისა და ბალეტის — ტრუბადური, რუსთაველის სახელობის — დიდი ხელმწიფე, მარჯანიშვილის სახელობის — უფსკრულთან, გრიბოედოვის სახელობის — ნურას უკაცრავად, სომხური დრამის — კამო, მუსიკალური კომედიის — სალხინობელი, მოზარდ მაყურებელთა ქართული — აღარ გაიმეორებს (აბონემენტი № 38, 10 ს.), ბაში-აჩუკი (აბონემენტი № 22, 7 ს.).

**კინოთეატრებში**

რუსთაველის სახელობის, ამირანი, ისანი, პლეხანოვისა და ვოროშილოვის სახელობის კლუბები — მ. ლომონოსოვი, ოქტომბერი, სპარტაკი, თბილისი — ანტუანი და ანტუანეტა, კოლხიდა (საზამთრო), კიროვის სახელობის პარკი, ძერჟინსკის სახელობის კლუბი — ვეფხვების მომთვინიერებელი, კომკავშირული — ანა კისერზე, კოლხიდა (საზაფხულო) — განგა.

---

**საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მ. ასათიანის სახელობის სამეცნიერო-საკვლევი ფსიქიატრიის ინსტიტუტი** აცხადებს კონკურსს შემდეგ თანამდებობებზე:

კლინიკური განყოფილებების უფროსი მეცნიერი მუშაკი (მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი) — 3 ადგილი.

კლინიკური განყოფილებების მეცნიერი მუშაკი — 2 ადგილი.

კლინიკური ორდინატორი — 2 ადგილი.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა ინსტიტუტის დირექტორის სახელზე უნდა წარმოადგინონ განცხადება შემდეგი საბუთების დართვით (2 ცალად): ავტობიოგრაფია, კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი, ნოტარიუსის მიერ შემოწმებული ასლები უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების, სამეცნიერო ხარისხის, სამეცნიერო წოდების დიპლომებისა, სამეცნიერო შრომების სია, დახასიათება უკანასკნელი სამუშაო ადგილიდან, ცნობა მუშაობის სტაჟის შესახებ, ცნობა სამხედრო სამსახურთან დამოკიდებულების შესახებ და ორი ფოტოსურათი.

ორდინატურაში კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა დამატებით უნდა წარმოადგინონ დაბადების მოწმობის ნოტარიალური ასლი და ჯანმრთელობის განყოფილების ნებართვა კონკურსში მონაწილეობის უფლების შესახებ.

ორდინატურაში მიიღებიან ექიმები არაუმეტეს 30 წლის ასაკისა, რომლებსაც აქვთ პერიფერიაში მუშაობის 3 წლის სტაჟი.

კონკურსის ვადაა ა. წ. 15 ივლისამდე.

ინსტიტუტის მისამართი: ქ. თბილისი, ელექტრონის შესახვევი № 4.

---

**საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს აკად. მუხაძის სახელობის სისხლის გადასხმის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი** აცხადებს კონკურსს შემდეგ თანამდებობებზე:

1. ჰემატოლოგიური ლაბორატორიის ხელმძღვანელი — 1 (მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ან კანდიდატი), 2. სეროლოგიური ლაბორატორიის ხელმძღვანელი — 1 (მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ან კანდიდატი), 3. ბიოქიმიური ლაბორატორიის ხელმძღვანელი — 1 (მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ან კანდიდატი), 4. ბაქტერიოლოგიური ლაბორატორიის ხელმძღვანელი — 1 (მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ან კანდიდატი), 5. პათ-ფიზიოლოგიური ლაბორატორიის ხელმძღვანელი — 1 (მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ან კანდიდატი), 6. დონორთა განყოფილების ხელმძღვანელი — 1 (მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ან კანდიდატი), კლინიკური ორდინატორი — 1.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა ინსტიტუტის დირექტორის სახელზე შემოტანილ განცხადებას უნდა დაურთონ კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი, ავტობიოგრაფია, უმაღლესი განათლების, სამეცნიერო ხარისხის დიპლომების ასლები, დახასიათება და მეცნიერული ნაშრომების სია რეცენზიებით.

კონკურსის ვადაა 2 თვე დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა.

ინსტიტუტის მისამართი: თბილისი, კამოს ქ. № 43.

---

**ლექცია**

8 მაისს საღამოს 7 საათზე ვოროშილოვის სახელობის მედიცინის მუშაკთა საქალაქო სახლში (რუსთაველის პრ. № 2) საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოება და ვოროშილოვის სახელობის მედიცინის მუშაკთა სახლის გამგეობა აწყობენ პროფესორ მ. საკაშვილის საჯარო ლექციას თემაზე: „მოსკოვის უნივერსიტეტის ღვაწლი მედიცინის განვითარებისა და სამედიცინო კადრების მომზადების საქმეში".

ბილეთების წინასწარ შეძენა შეიძლება საზოგადოების რწმუნებულებთან (ჯაფარიძის, 4), ლექციის დღეს — სალაროში.

---

მეუღლე კოსტა შვილებით იუწყება **იუსტინა მკურნალიძე-თხილაიშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 8-V, 6 ს. სოფელ ვაკიჯვარში (მახარაძის რაიონი).

---

მეუღლე მარიამ, შვილები ლინა, გალინა, ვალენტინა ოჯახებით იუწყებიან **ივანე სტეფანეს-ძე ლვინჯილიას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 8-V ქ. ბათუმში, გამოსვენება ბინიდან, ბარათაშვილის ქ. № 9.

---

მეუღლე გიორგი, შვილები ვენერა, ციალა, თამარ ოჯახებით და ნათესავებით იუწყებიან **მანია პართენის ასულ სუთიძე-ქუთათელაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 7-V, 8 ს. გამოსვენება 8-V, 4 ს. არაგვის ქ. № 14.

---

შვილები ნუცა, ნიკო, რაისა თათარიშვილები ოჯახებით და ნათესავებით იუწყებიან **ანისია ისაკის ასულ თათარიშვილის** გარდაცვალებას. გამოსვენება 8-V, 3 ს. ეგნატოშვილის ქ. № 8.

---

შვილი იგორ ოჯახით, ნათესავებით იუწყება **მარიამ დიონისეს ასულ მარგველაშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 7, 8-V, 8 ს. გამოსვენება 10-V, 6 ს. ძნელაძის I ჩიხი № 4.

---

დედა პოლინე ოჯახით იუწყება **თამარ ალექსანდრეს ასულ ფალავანდიშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 8-V სოფელ სარეკში (საჩხერის რაიონი).

რედაქციის, გამომცემლობისა და სტამბის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 3-68-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, სამდივნოსი — 3-06-88, ტელეფონები განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-81-84, მრეწველობისა და ტრანსპორტის, პრესის მიმოხილვის — 3-16-90, სოფლის მეურნეობის — 3-20-48, კულტურისა და ყოფაცხოვრების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, საბჭოთა მშენებლობის, კორესპონდენტთა ქსელისა და პარტბიუროსი — 3-57-61, ადგილობრივი და უცხოეთის ინფორმაციის — 3-80-83, წერილების — 3-73-24, განცხადებების მიღების — 3-51-81, გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობის დირექტორის — 3-65-41, სტამბის დირექტორის — 3-77-70.

2

უე 00199

პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14.